

ახალი განათლება

19-25 იანვარი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№1 (755) გაიშალა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



შუაფხოს საბაზო სკოლას დამამთავრებელი კლასები დაემატება

საშობაო არდადეგების შემდეგ, შუაფხოს საბაზო სკოლის მეცხრეკლასელებისთვის, სასწავლო პროცესი ძალიან სასიხარულო ინფორმაციით განახლდა. იოსები, თინათინი, ავთანდილი და გიორგი სწავლას მომავალ წელსაც შუაფხოს სკოლაში გააგრძელებენ. საბაზო სკოლაში სულ 13 მოსწავლეა, მათგან ორი შუაფხოდანაა, 11-კი – სოფელ თხილიანიდან. „მთის მცველმა“ ბავშვებმა მინისტრს წერილი მისწერეს და შუაფხოს სკოლისთვის დამამთავრებელი საფეხურის დამატება სთხოვეს ერთადერთი მიზეზით – სოფელი საბოლოო დაცლას გადაარჩინონ. მიაჩნიათ, რომ სწორედ მათ, ამ თაობას შეუძლია მთის გადარჩენა, მის განვითარებასთან დაკავშირებული გეგმებიც აქვთ, ფიქრობენ, რომ ისწავლიან და შემდეგ პროექტების განსახორციელებლად დაუბრუნდებიან მთას, რომელთანაც დიდი სიყვარული აკავშირებთ. ამ ოთხი მოზარდის მაგალითი კიდევ ერთხელ გვახსენებს დაუნერგელ კანონს – მთას არავინ ტოვებს ხალისით და თან სამუდამოდ. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ამბობს, გარდა იმისა, რომ ეს მისი მოვალეობაა, ბავშვების წერილმა მასზე ადამიანურადაც იმოქმედა: „ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეგვიძლია, ამ ძალიან კარგ წერილზე ძალიან კარგ ბავშვებს დადებითი პასუხი გავცეთ და ვუთხრათ, რომ შუაფხოს საბაზო სკოლას ზედა საფეხური დაემატება და მომავალი სასწავლო წლიდან, მათ მეთვთავე კლასში გადასვლა ამავე სკოლაში შეეძლებათ, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა“.

მინისტრი „ამ ძალიან ყოჩაღ და კარგ ბავშვებს“ ბევრ სხვა საინტერესო და სასიხარულო ამბებსაც ჰპირდება, რადგან სურს, სოფლის სკოლები ყველაზე მაგარ სკოლებად აქციოს: „სულ უფრო მეტი ეაბილიტირებული, გარემონტებული, გალამაზებული, დამშვენებული სკოლა, სულ უფრო მეტი ტექნიკა და ტექნოლოგია ამ სკოლებს, მეტი ხელშეწყობა პედაგოგებს. ამის გარდა, ვგეგმავთ არასასკოლო პროექტების დაწყებას სხვადასხვა მიმართულებით. აქცენტი, პირველ რიგში, ასეთ პატარა სკოლებზე იქნება. ასე რომ, წელს ეს ერთადერთი სიახლე არ იქნება შუაფხოს სკოლისთვის, წინ კიდევ ბევრი საინტერესო რამ ელის ამ სკოლას და ასეთ სკოლებს“.



ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი სიახლეები

გვერდი 3

აქტუალური თემა

სკოლების ტიპებად დაყოფა

„ამ ინიციატივას უფრო ჩარევის ინსტრუმენტად განვიხილავთ და არა რაღაც დაშტამპვისა და სკოლებისთვის გარკვეული ნიშის მიჩენის ან იარაღის მიკერების პროცესად.“ – ირინა ხანთაძე

გვერდი 4

ოფიციალური დოკუმენტი

სკოლებში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების ახალი წესები

გვერდი 5

პროფესიული განათლება

მოდულური პროგრამების დანერგვა – პროფესიული რეფორმის პირველი შედეგები

გვერდი 6

სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და არდადეგების დაწყება - დასრულების თარიღები

- 01** სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს და სრულდება 15 ივნისს
- 02** პირველკლასელები სასწავლო წელს ასრულებენ 27 მაისს, 8-12 კლასელები - 20 მაისს
- 03** გათმრის არდადეგა იწყება 30 დეკემბერს და გრძელდება 14 იანვრის ჩათვლით
- 04** საბაზო საფეხურის არდადეგა იწყება 8 მარტიდან და გრძელდება 14 მარტის ჩათვლით
- 05** მაგისტრის არდადეგა იწყება 15 ივნისიდან და გრძელდება 14 სექტემბრის ჩათვლით

იანვარი 2017





შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

ასწავლებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიაში ცხადდება კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე.

კონკურსი ცხადდება შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

❖ მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება
დარგი/სპეციალობა – მარკეტინგი
ასოცირებული პროფესორი – 3 სამტატო ერთეული;

დარგი/სპეციალობა – მენეჯმენტი
პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასისტენტი – 1 სამტატო ერთეული;

დარგი/სპეციალობა – ფინანსები
პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასისტენტი – 1 სამტატო ერთეული;

დარგი/სპეციალობა – ბიზნეს-კომუნიკაცია
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული.

❖ მიმართულება – ინჟინერია
დარგი/სპეციალობა – ინფორმატიკა
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასისტენტი-პროფესორი – 1 სამტატო ერთეული.

❖ მიმართულება – სოციალური მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა – პოლიტიკური მეცნიერება
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;

დარგი/სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული.

❖ მიმართულება – სამართალი
დარგი/სპეციალობა – კერძო/ბიზნეს სამართალი

ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
ასისტენტი – 1 სამტატო ერთეული;

დარგი/სპეციალობა – საჯარო სამართალი
ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული.

❖ მიმართულება – ჰუმანიტარული მეცნიერებანი
დარგი/სპეციალობა – ფილოლოგია
ქვედარგი/სპეციალიზაცია – ინგლისური ფილოლოგია
ასოცირებული პროფესორი – 3 სამტატო ერთეული.

კონკურსის ჩატარების პირობები

❖ პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება.

❖ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 3 წლის გამოცდილება.

❖ ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

❖ ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

❖ აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი პროფესიული ნიშნის მიხედვით.

კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით. ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 6 წლის ვადით.

კონკურსი მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დამტკიცებული ფორმით); **დანართი 1**
- ბ) კონკურსანტის ანკეტა (დამტკიცებული ფორმით); **დანართი 2**
- გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, ასევე, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლები;
- დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები);
- ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ბილი 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);
- ვ) სალექციო კურსის (კურსების) ჩამონათვალი – სილაბუსით (სილაბუსებით);
- ზ) ნაშრომების ეგზემპლარები ან ასლები, ნიგენტისა და მონოგრაფიების ყდის ქსეროასლებით;
- თ) 2 ფოტოსურათი 3/4-ზე, ელექტრონული CD დისკზე;
- ი) პირადობის მონმობის ასლი.

კონკურსის ჩატარების ვადა


კონკურსი ცხადდება 2017 წლის 19 იანვარს. საბუთების მიღება ინარჩუნებს შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიაში, 2017 წლის 20 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით, მისამართზე: ძ. თბილისი, ჯურჯა ნაღრიძის ძ. №46, ტელ. 2 36-91-60.

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

❖ პირველი ეტაპი – საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საბუთების გაცნობა/შესწავლა;

❖ მეორე ეტაპი – გასაუბრება. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2017 წლის 10 მარტს.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ოფიციალურ ვებგვერდზე www.usgeorgia.edu.ge



მოხილვის ვადები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მოხილვის ვადები პროფესორის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოხილვის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ელექტრონული პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრეს 2017 წლის 10 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით.

2. მოხილვის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონული პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრეს 2017 წლის 20 იანვრიდან 02 თებერვლის 18:00 სთ-მდე.

3. მოხილვის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგინის ვადა განისაზღვრეს 2017 წლის 07 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით.

ინფრასტრუქტურის მოვლის ახალი წესი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავეს საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის (O&M) პროექტი, რომელიც სკოლებს საშუალებას მისცემს უკეთ მიხედონ ინფრასტრუქტურას, რაც აუცილებელი ნინაპირობაა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისთვის.

საქართველოს საჯარო სკოლების შენობების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათი მოვლა-პატრონობის სისტემა არ არსებობს, რამაც განაპირობა შენობების მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესება. ეს საგანმანათლებლო სისტემისთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს და მისი გადაჭრა აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება.

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის პროექტი ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე, \$140-მილიონიანი, კომპაქტის ფარგლებში.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობა და ინფრასტრუქტურის განვითარების სისტემა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ერთ-ერთი კომპონენტია. ამერიკელი ხალხი გვეხმარება ახალი სკოლების აშენებაში, თუმცა აშენების გარდა ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა გვიდგას – ამ სკოლების ინფრასტრუქტურა დარჩეს გამართული რაც შე-

იძლება დიდხანს. ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს, როგორ დადებითად მოქმედებს კარგი მოვლა-პატრონობა ნებისმიერ ინფრასტრუქტურაზე, ამიტომ 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ეს საკითხი და გაინერგება პროცედურები, სტანდარტი, რომლითაც იხელმძღვანელებენ რესურსცენტრები იმისთვის, რომ მათი ინფრასტრუქტურა რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს საუკეთესო მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ჩვენს ბავშვებს და პედაგოგებს ჰქონდეთ ისეთი საშუალო გარემო, რომელიც საუკეთესო შედეგებთან მიიყვანთ და, ამ მხრივ, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ გადადგმული ამერიკელი მეგობრების დახმარებით.“

მაგდა მალრადი, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ დირექტორი: „სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2.5-მილიონიანი ახალი პროექტი, რომელსაც აფინანსებს ამერიკის მთავრობა და, დამატებით, საქართველოს ბიუჯეტი გამოყოფს თანხებს იმისთვის, რომ საქართველოში დაინერგოს საჯარო სკოლების ოპერირების და მოვლა-პატრონობის ახალი სისტემა, საშუალებას მისცემს სკოლებს, უკეთ მიხედონ ინფრასტრუქტურას და შედეგად მივიღებთ უფრო კომფორტულ, გაუმჯობესებულ გარემოს სკოლებში.“

არც ერთი ბავშვი სავალდებულო განათლების გარეშე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“ პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამის მიზანია საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა, დაეხმაროს სავალდებულო ზოგადი განათლების (9 კლასის ატესტატი) მიღებაში.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში, პირველ რიგში, მოხდება იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებიც არ დადიან სკოლებში; შესაძლებელი გახდება იმ მოსწავლეების დროული აღმოჩენა და პრევენცია, რომლებმაც ოჯახური თუ სხვა პირობების გამო, შეიძლება ვერ დაამთავრონ სავალდებულო 9 კლასი; ამოქმედდება სასწავლო პროგრამები მიუსაფარი ბავშვებისთვის; სავალდებულო 9 კლასის ატესტატის არმქონე პირებისთვის შემუშავდება ზოგადი განათლების ისეთი პროგრამები, რაც პროფესიული განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების ნინაპირობა გახდება.

ლონისძიება გახსნა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ: „დღეს, ძალიან სასიხარულო ამბავი გამოვაცხადებ. ეს არის განათლების ახალი შანსი. საუბარია იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მიიღეს სასკოლო განათლება, მიატოვეს სკოლა ან ფიზი-

კურად არ ჰქონდათ სწავლის საშუალება. ჩვენ ვეძინით სისტემას, რომლითაც ასეთ ადამიანებს დაგვარუნებთ სკოლაში. 80 ბავშვი უკვე ვიმოვეთ და შეიყვანეთ დაწესებულებაში, რის შემდეგაც გააგრძელებენ სკოლაში სწავლას. მათ შორის საუბარია ზრდასრულ ადამიანებზე, რომლებმაც მიზეზთა გამო წარსულში ვერ მიიღეს სასკოლო განათლება. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპისკენ, ნაბიჯი პროფესიული და პიროვნული თავისუფლებისკენ, რომელიც არის ჩვენი მთავრობის ოთხ-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპი.“

აღნიშნულ საკითხზე სამინისტრო UNICEF-თან ერთად მუშაობს. ყველა მოქალაქეს შეუძლია სამინისტროს ცხელ ხაზზე დარეკოს და აცნობოს ისეთი ბავშვების შესახებ, რომლებიც, რიგი მიზეზების გამო, სკოლებში ვერ დადიან.

პროგრამაში ჩართვება ნებისმიერი ადამიანი, შეიძლება ბავშვი ქუჩაში ცხოვრობდეს და სკოლაში ვერ დადიოდეს ან ადრეული ქორწინების გამო ვერ მოახერხა სკოლის დამთავრება. ასაკობრივი შეზღუდვა არ არის – მოქალაქე, რომელმაც ვერ მოახერხა სასკოლო განათლების მიღება თავის დროზე, შეუძლია ჩართოს ამ პროექტში. ასეთი ადამიანებისთვის ინდივიდუალური პროგრამები მომზადდება, ისინი არ ისხდებიან უმცროსკლასელებთან ერთად. მომავალში ტექნოლოგიურ სწავლებას გამოვიყენებთ და დისტანციური სწავლება დაინერგება.“

პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“

საშუალებას მისცემს საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა, მიიღოს სავალდებულო ზოგადი განათლება და მიიღივოს კლასის ატესტატი

9

www.mes.gov.ge

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი სიახლეები

ალექსანდრე ჯეჯელავამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს, დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო.

შეხვედრაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია განათლების ყველა სფეროს მოიცავდა:

ზოგადი განათლება

პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში დასახული მიზნების მასალაზე და აუცილებელია სკოლა გახდეს უფრო საინტერესო და თანამედროვე, ამაღლდეს განათლების ხარისხი, მოზარდებს განუვითარდეთ კრიტიკული და თავისუფალი აზროვნება. ამ მიზანს მოემსახურება თავისუფალი გაკვეთილები, განახლებული სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, სწავლა/სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლის ცოდნით საუკეთესო მოსწავლეები უმაღლესში რეპეტიტორის გარეშე ჩააბარებენ.

საბაზო საფეხურზე ამოქმედდება თავისუფალი გაკვეთილები – სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლას, კლასს ექნება საშუალება მათთვის საინტერესო თემებზე გახსნას განხილვები ტიპის კლასები, რასაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

სასწავლო პროგრამები იქნება გამარტივებული და მოსწავლეების ასაკზე მორგებული. ასეთი მიდგომა სრულად იქნება ორიენტირებული მოზარდებში კრიტიკული, ლოგიკური აზროვნების განვითარებაზე.

შეიქმნება ახალი სახელმძღვანელოები და მათი ელექტრონული ვერსიები.

დაიხვეწება მასწავლებლის პროფესიული განვითარების ახალი სქემა, რომელიც შედგება კვალიფიკაციის ამაღლების, არსებული უნარებისა და ცოდნის უკეთ წარმოჩენის საშუალებას მისცემს.

მოტივირებულ მასწავლებლებს, სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებული მხარდაჭერა ექნებათ.

იმისათვის, რომ მომავალი თაობა გაიზარდოს ჯანმრთელი და განვითარდეს ჰარმონიულად, სკოლებში მეტი სპორტისა და ხელოვნების გაკვეთილები დაინერგება, ამოქმედდება მრავალფეროვანი სპორტული წრეები, სისტემატურად ჩატარდება შეჯიბრებები. ამასთან, ყველა მოსწავლეს ექნება ხელოვნების სხვადასხვა დარგში საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალება. შესაბამისად, სკოლებში ამოქმედდება სახელოვნებო წრეები, ჩატარდება ხელოვნების საინტერესო გაკვეთილები. გაგრძელდება სკოლების მშენებლობა და რემონტი.

ელექტრონული სწავლების დანერგვით მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მაღალი ხარისხის ვირტუალური ლაბორატორიები.

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი ინტერნეტით.

უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით შემუშავდა მსოფლიო დონის ელექტრონული სწავლების პლატფორმა. სკოლაში, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, სწავლა უფრო საინტერესო გახდება, განათლების ხარისხი კი ამაღლდება.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება დასაქმების ან კვალიფიკაციის ამაღლების წინაპირობა ხდება და დღეს სწორედ პროფესიულ კოლეჯებში შეძენილი პროფესიები ყველაზე მოთხოვნილი და მასაქმებლების მხრიდან. შესაბამისად, პროფესიული კოლეჯები ყველა ასაკის მოქალაქეს, სახელმწიფო დაფინანსებით, მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას შესთავაზებს, მათ შორის დუალურ პროფესიულ განათლებას. სამუშაოზე დაფუძნებული – დუალური სწავლების დიდი ნაწილი საწარმოში წარმართება და სტუდენტი, სწავლის პარალელურად, მუშაობას შეძლებს. პროცესში დამსაქმებლებიც არიან ჩართული და სტუდენტებისთვის მინიმალური ანაზღაურებაც გათვალისწინებულია. კურსდამთავრებული დაეფუძნება შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიას და ადვილად დასაქმდება.

დაცული იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპი. ჩვენს მოქალაქეებს ეცოდინებათ, რომ აქვთ კვალიფიკაციის ამაღლების ან/და პროფესიის შეცვლის შესაძლებლობა და არასოდეს შეეშინდებათ ხვალინდელი დღის და ბაზარზე გაჩენილი ახალი მოთხოვნების.

პროფესიული კოლეჯები საქართველოს ყველა რეგიონში ამოქმედდა და მოქალაქეებს შეეძლებათ, სახლთან ახლოს დაეუფლონ ახალ პროფესიებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქვეყანაში ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამჟამად, ქვეყანაში 37 პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი სახელმწიფო სასწავლებელი ფუნქციონირებს. გაუმჯობესდება კანონმდებლობა – შედეგად, საბაზო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული კოლეჯის დიპლომი, შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას.

უმაღლესი განათლება

იმისათვის, რომ განათლება და ეკონომიკა მჭიდროდ დაუკავშირდეს ერთმანეთს, სახელმწიფო დასაქმებაზე და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს განათლებას შესთავაზებს სტუდენტებს. უნივერსიტეტები მოამზადებენ

იმ სპეციალისტებს, რომლებიც სჭირდება წარმოებას, მშენებლობას, ბიზნესს, სოფლის მეურნეობას, პოლიტიკას, სამოქალაქო სექტორს, სპორტულ, სახელოვნებო, აკადემიურ და სამეცნიერო წრეებს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება ის პრიორიტეტული პროფესიები, რომლებზეც დამსაქმებლების მხრიდან დიდია მოთხოვნა. საუკეთესო ქართველი სტუდენტები საერთაშორისო დონის დიპლომებს მიიღებენ.

სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით სამეცნიერო კვლევა ინტეგრირდება სასწავლო პროცესთან.

შემუშავდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დაფინანსების გაცილებით ეფექტიანი სისტემა.

ყველა პროფესორს ექნება თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა.

უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ინსტიტუტებში დაინყო ლაბორატორიების, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი.

ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებისთვის მოქმედებს საბაკალავრო პროგრამა. სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოხდება ელექტრონული სწავლების დანერგვა.

მეცნიერება

საქართველო გახდება აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და დსთ-ს რეგიონის უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კვლევის ცენტრი. ამ გეგმის განხორციელებას ხელს შეუწყობს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ახალი პროექტი – „ისწავლე საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, კერძო და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, ამოქმედდება უცხოეთიდან საერთაშორისო პროგრამები, შედეგად მეტი უცხოელი ისწავლის საქართველოში და მეტ ქართველ მეცნიერს ექნება საშუალება, ჩაერთოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. შემუშავდება ახალგაზრდა მეცნიერების, ისევე როგორც საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამები. გაგრძელდება და გაღრმავდება „ჰორიზონტი 2020“-თან და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობა. „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის სრულყოფილი ასოცირებული წევრობა ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო კვლევებში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს.

მოხდება მეცნიერების კომერციალიზაცია – ახალგაზრდა მეცნიერებს/გამომგონებლებს საშუალება ექნებათ მათი მიგნებები კომერციულად საინტერესო წინადადებად აქციონ. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი მეცნიერების სამშობლოში დაბრუნებას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პირველი – სკოლამდელი განათლების შესახებ კანონი, ამ მიმართულებით ჩვენი სამინისტრო პირველად დაიწყებს მუშაობას.“

სკოლაში ახალი სახელმძღვანელოები გვექნება, სასწავლო პროგრამები და თვითონ გაკვეთილის ფორმატი შეიცვლება. უკვე გვაქვს ახალი პროფესიული განვითარების სქემა მასწავლებლებისთვის და შემდგომში კიდევ მოსალოდნელია ცვლილებები. შედეგების პროფესიის პრესტიჟის გაუმჯობესებაზე გვინდა ვიმუშაოთ.

უმაღლესში უცხოელი სტუდენტების შემოყვანაზე გადავავაქვს აქცენტს, ასევე საერთაშორისო აკრედიტაციაზე, გვინდა, ქართულმა უნივერსიტეტებმა საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღონ. 1-2 თვეში სტუდენტთა დაფინანსების ახალ სქემას შემოგთავაზებთ საჯარო განხილვისთვის და მერე უკვე, შესაბამისად, დამტკიცდება. ეს სქემა გვინდა, რომ მიზნული იყოს აკადემიურ მოსწრებაზე – ვინც კარგად სწავლობს, მეტად დაეფინანს-

სით და ვინც ცუდად სწავლობს, ასეთები არ დაეფინანსდით.

პროფესიული განათლების წლებიდან „მოსავალი“, ასე ვთქვათ, 10 000 სტუდენტია, მომავალ წელს იმედი მაქვს, რომ შევძლებთ 15 000 მოვიზიდოთ პროფესიულ განათლებაში, გაეზარდოს მისი პოპულარობა. კანონი პროფესიული განათლების შესახებ უკვე შექმნილია და დასამტკიცებელია. თვისობრივად ახლებური კანონია და ესეც ძალიან დაგვეხმარება.

„ჰორიზონტი 2020“ ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა იმ გაგებით, რომ ჩვენ წელს გავწვერიანდით, მაგრამ ეს განვერიანება ფორმალური არ დარჩა, „ჰორიზონტიდან“ უკვე მიღებული გვაქვს მილიონ-ნახევარ ევროზე მეტი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისთვის. ფაქტობრივად, რა ინვესტიციაც გააკეთა ქვეყანამ, უკვე ამოღებულია და შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება დაფინანსება.

გრძელდება ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, ინკუბიური სწავლების განვითარება და ყველა ძირითადი მიმართულება, რასაც აქამდე ვაკეთებდით, მომავალ წლებშიც გავგრძელებთ.“

მარიამ ჯაში, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: „უახლოეს პერიოდში ხელმისაწვდომი იქნება სტრატეგიული ხედვის დეტალური დოკუმენტი – ძირითადი აქცენტები, რომლებიც განათლების თითოეულ საფეხურზე და მეცნიერების განვითარების კუთხით იქნება ხელშეწყობილი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. ძირითადი აქცენტი, რა თქმა უნდა, კეთდება როგორც ხარისხის გაუმჯობესებაზე განათლების ყველა ეტაპზე, ასევე დასაქმების კუთხით შესაბამისი კადრების მომზადების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მომდევნო ოთხწლიანი გეგმის გათვალისწინებით.“

ასევე უმნიშვნელოვანესი თემა სამეცნიერო პოტენციალის ზრდა. ჩვენ სულ ახლახან მოვახდინეთ „ჰორიზონტი 2020“-ის ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც უდიდეს შესაძლებლობებს აძლევს ჩვენს მეცნიერებს. ვფიქრობ, არსებული რესურსების ფარგლებში, დღეს არსებული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მაქსიმალური ხელშეწყობა პირველი პრიორიტეტია და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება დამატებითი რესურსების მოპოვებაც როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობით პროგრამებიდან.“

თეონა ხუფენია, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი: „ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა 2017 წელი განათლების მიმართულებით და არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა საფეხურის განათლების განვითარებისთვის. უნივერსიტეტი, ჩვენ შემთხვევაში, არის ის სივრცე, სადაც ერთდროულად ხორციელდება ორი მიმართულება – პროფესიული და უმაღლესი განათლება. ორივე მიმართულების განვითარება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა უნივერსიტეტის განვითარებისთვის. უმაღლესი განათლების ნაწილში ეს არის ინტერნაციონალიზაცია, რაც ნამდვილად სწორი გზაა ხარისხის ამაღლებისკენ, ხოლო პროფესიულ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანი იყო დუალური განათლება. ჩვენს უნივერსიტეტში დუალური, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება მიმდინარეობს, უკვე გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მართლაც სწორი გადაწყვეტილებაა პროფესიული განათლების განვითარებისთვის. რეალურ გარემოში მიმდინარე პრაქტიკული კომპონენტის განვითარება, და არა სიმულაციის გარემოში, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც, სწავლების პარალელურად, უკვე დასაქმებაზეა საუბარი.“



საქალაქო თემა

სკოლების ტიპებად დაყოფა

ლალი ჯელაძე

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები განხორციელდა. ცვლილებათა პაკეტს საქართველოს პარლამენტმა, დაჩქარებული წესით, დეკემბრის შუა რიცხვებში უყარა კენჭი და სამი მოსმენით დაამტკიცა, პრეზიდენტმა კი მას ხელი იანვარში მოაწერა. ცვლილებებს შორის ყველაზე მხაურობიანი სკოლების კატეგორიაა ცხელი და ბრენდირების განხორციელება აღმოჩნდა.

ბრენდირების პრინციპის განმარტების თანახმად სკოლების ბრენდირებისას უმაღლესი შეფასება ენიჭება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის მქონე სკოლას, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს ან/და ახორციელებს აკრედიტებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ბრენდირების კრიტერიუმები უნდა იყოს მრავალფეროვანი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ადამიანური თუ მატერიალური რესურსების გაძლიერებისა და ეფექტურობისა კენ მიმართული.

„სკოლის ტიპებს შორის იქნება განსხვავება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებაში, მართვაში, სტრუქტურულ ერთეულებში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, სახელმწიფო კონტროლში, ადამიანური რესურსებისადმი (მათ შორის დირექტორისადმი და მასწავლებლისადმი) ნასაყენებელ მოთხოვნებში. შესაბამისად, სკოლის ტიპების ამგვარად დიფერენცირება განაპირობებს მათთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ინდივიდუალურად მორგებული მართვის სისტემის არსებობის აუცილებლობას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ეფექტურობა.“ – ეს არის ამონარიდი კანონიდან სხვადასხვა ტიპის სკოლების განმარტების შესახებ.

„სამი ტიპის სკოლა გვექნება, ეს არის მექანიკური დაყოფა“ – აცხადებს მინისტრი და ამბობს, რომ რეფორმის შედეგად ქვეყანაში წამყვანი სკოლები გაჩნდება, რაც პედაგოგებისა და ექსპერტების ნაწილმა დისკრიმინაციულად შეაფასა. ალექსანდრე ჯეჯელავა მიიჩნევს, რომ „პოზიტიური დისკრიმინაციაა, როდესაც საუკეთესო სკოლას მიეცემა საუკეთესო შესაძლებლობები“. მარია ჯაშის აზრით კი ამ ცვლილებით აბსოლუტურად ყველა სკოლა იქნება ჩაყენებული თანაბარ პირობებში და ამბობს, რომ: „აქ უფრო მოტივაციის გაუმჯობესებისკენაა მიმართული ღონისძიებები. თუ სკოლების მართვის განსაკუთრებული ან კარგი პრაქტიკა არსებობს, მათი იდენტიფიკაციის საშუალება მოგვეცემა და სხვა სკოლებიც შეძლებენ, ეფექტური მართვის თვალსაზრისით, ახალი ელემენტები შემოიტანონ.“

სკოლების სამ კატეგორიაში პირველი ორის განმსაზღვრელი ფაქტორი მოსწავლეთა რაოდენობა იქნება და ნაკლები კონტინგენტის მქონე სკოლებს მინისტრი გახანგრძლივებულ სწავლებას ჰპირდება და ამბობს, რომ მცირე სკოლა უნდა გახდეს სოფლისთვის ბიბლიოთეკა, კინოცენტრი და ინოვაციის ცენტრიც. მინისტრის გეგმების თანახმად, თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების უფლება 200-ზე მეტ მოსწავლიან სკოლას ექნება. სკოლა, სადაც ორას ბავშვზე ნაკლები სწავლობს, 1400-ია, ხოლო, სადაც 200 ბავშვზე მეტი – დაახლოებით, 700. შემოდის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც მოსწავლეთა რაოდენობაზე არ იქნება დამოკიდებული. ასეთ კატეგორიაში გადასასვლელად სკოლას დასჭირდება ეროვნულ გამოცდებზე გარკვეული შედეგები, აკადემიური მიღწევები და მასწავლებელთა დონე. რაც შეეხება ამ სტატუსის უპირატესობებს, მინისტრი ამბობს, რომ ასეთ სკოლებთან სამინისტრო გაცილებით დიდი რაოდენობის პროექტებს განახორციელებს, ვიდრე დანარჩენებშია. წამყვან სკოლას შეეძლება გააკეთოს ის, რასაც პედაგოგიური კოლექტივი გადაწყვეტს, მათ აუდიტი ვერ შეამოწმებს სეროიზული დასაბუთების გარეშე.

კატეგორია I – სადაც 200-მდე მოსწავლე სწავლობს;
კატეგორია II – სკოლები, რომლებიც განსაკუთრებული ნიშნით არ გამოირჩევიან;

კატეგორია III – „დაახლოებით, 150-200 სკოლა გვაქვს ყველაზე ძლიერი. ძირითადად, ეს ხალხი წუხს, რომ შეზღუდვები უშლით ხელს სწავლებას. მაგალითად, უნდათ მეტი თავისუფლება სახელმძღვანელოს არჩევანში, დამატებითი პროექტების განხორციელებაში და ბევრ სხვა საქმეში. აი, ამ ტიპის სკოლებისთვის ვაპირებთ, გამოვყოთ ცალკე კატეგორია, რომ მიეცეთ მათ მეტი თავისუფლება სახელმძღვანელოების არჩევანში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა თუ ადმინისტრირებაში“ – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის, **მარიამ ჯაშის** განცხადებით: „ბრენდირების საკითხი უკვე არსებობდა ზოგადი განათლების ჩანაწერის სისტემაში, თუმცა, ფუნქციური დატვირთვა არ მიუღია. სწორედ სხვადასხვა ტიპის სკოლების დაფუძნებით, ერთიანი შეფასების სისტემის დაფუძნებით, მოგვეცემა საშუალება, რომ ის ინოვაციები და წარმატებული გამოცდილება, რომელიც კონკრეტულ სკოლებში უკვე დანერგულია, იყოს აღიარებული და მიეცეთ სხვა სკოლებს აღნიშნული პრაქტიკის გაზიარების საშუალება, გაუჩნდეთ მოტივაცია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.“

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რომელ კატეგორიასთან რა წესით იმუშავებს სამინისტრო, თუმცა, მთავარია კრიტერიუმები – გამართული ინფრასტრუქტურა, მოსწავლეების მოსწრების დონე და სკოლის ჩართულობა.

მეთოდოლოგია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოამზადებს კონსულტაციის ფორმასში.

საზოგადოებაში გაჩენილ მთავარ კითხვას – სკოლების კა-

ტეგორიებად დაყოფა ხომ არ გამოიწვევს სკოლების პრივილეგიურებად დაყოფას და შეიცავს თუ არა დისკრიმინაციულ რისკებს, დარგის სპეციალისტი ვრცლად მასწავლებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე **შალვა ტაბატაძე** მიიჩნევს, რომ, ზოგადად, იდეა სკოლებს მიუღებდა ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად, რასაკვირველია კარგია, მაგრამ თუ ინიციატივის მიზანი დაყოფაა ცუდი, კარგი, საშუალო და ა.შ. სკოლებად, რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. „სხვადასხვა სკოლას შესაძლოა სხვადასხვა საჭიროებები გააჩნდეს. თუ ამ ინიციატივის მიზანია, გააკვივოს რა ტიპის საჭიროებები არსებობს და დახმარების რა ინსტრუმენტები უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად მათ დასაკმაყოფილებლად, რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მნიშვნელოვანია. სხვადასხვა სკოლაში, შესაძლებელია, ეფექტური იყოს განსხვავებული დაფინანსების მოდელი ან ანგარიშვალდებულების მოდელი. შესაბამისად, ამ კუთხით მეტი თავისუფლება უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე უნიფიცირებული მიდგომა – ყველა სკოლა ვაუჩერული სისტემით დაფინანსდეს. სკოლების კატეგორიებად – ტიპებად ისე დაყოფა, რაზეც მინისტრი საუბრობს, მიუღებელია. კანონი საჩქაროდ მისაღები არ იყო, დაჩქარებული წესით მისი მიღება ცალსახად უსვამს ხაზს, რომ თვითონ სამინისტროში არ აქვთ გააზრებული, რისი გაკეთება უნდათ და რა პრობლემატიკა არსებობს.“

ზოგადსაგანმანათლებლო კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან ძალიან მნიშვნელოვანი და პროგრესულია დისტანციური სწავლება და საერთაშორისო ატესტაციების აღიარება, მაგრამ არაფრისმოცემია სკოლების ტიპებად დაყოფა. მინისტრის პირველი განცხადება სკოლების კატეგორიებად დაყოფის შესახებ სხვაგვარი იყო, ამბობდა, რომ იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივი დაყოფა. შემდეგ განმარტებაში მან ასეთი დაყოფა შეცვალა და გვითხრა, რომ გვექნება სამი ტიპის სკოლა – 200-მდე მოსწავლით, 200-ის ზემოთ და წამყვანი. აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ თურმე 200 მოსწავლემდე სკოლა კატეგორიას არსებული დაფინანსება ჰყოფნის, ხოლო 200-დან 500-მდე მოსწავლიან სკოლას დაფინანსება უნდა გაეზარდოს, რადგან არ ჰყოფნის, სამაგიეროდ, 200-მოსწავლიანი სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის გვექნება განსხვავებული კრიტერიუმები. იქ, სადაც მაღალ კონტენტიუმებს ვაწესებთ, შესაბამისად კვალიფიციური კადრებს ვითხოვთ, ასეთ მცირეკონტინგენტთან სკოლებში კი მაღალკვალიფიციური კადრები არ მივიღებთ. აქედან გამომდინარე, ასეთ სკოლებში დაბალი კვალიფიკაციის მქონე დირექტორები და მასწავლებლები იმუშავებენ. ეს განცხადება უკვე პრობლემა – გამოდის, რომ სახელმწიფო შეუწყობს ხელს, რომ სკოლებს დაბალი კვალიფიციური მასწავლებელი და დირექტორი ჰყავდეს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და გათანაბრებაზე არ იზრუნოს, პირიქით, წაახალისოს. სწორედ ეს არის დისკრიმინაცია. მესამე ტიპის განმარტებისას კი მინისტრისგან მოვისმინეთ, რომ კვალიფიკაციაზე საერთოდ არ არის საუბარი, პირიქით, ასეთ სკოლებს, უფრო მეტად დააფინანსებთ და ხელს შეუწყობს, ვიდრე იმ სკოლებს, რომლებსაც ამის რეალური საჭიროება აქვთ, რადგან მიიჩნევს, რომ მცირეკონტინგენტთან სკოლები უფრო მნიშვნელოვანია. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებიდან იმის თქმა შემიძლია, რომ კარგად არ არის გაზრებული, რისი მიღწევა სურთ ამ ცვლილებებით. გარდა ამისა, უკვე რისკის შემცველია, როცა რაღაც კრიტერიუმებით აწესებ წამყვან სკოლებს და დანარჩენებს, რომლებსაც ექნებათ სურვილი, იყვნენ წამყვანები. ასეთი დაყოფა და რეიტინგული სისტემის შექმნა, რასაკვირველია მიუღებელია.

ერთადერთი მიდგომა გვეჩრდება, ვაკვივით სკოლების საჭიროებები და შედეგად მათ მოვარგოთ გარკვეული ინსტრუმენტები, რომ გავაუმჯობესოთ სასკოლო ცხოვრება – სწავლა და გარემო გავხადოთ უკეთესი და არა იმისთვის, რომ დაყოფით სკოლები კატეგორიებად, რომლის მიხედვითაც შემდეგ გვეყოლება წამყვანი სკოლების და მოსწავლეები, ჩამორჩენილი სკოლები და მოსწავლეები. ამდენად, ავტომატურად პრივილეგიულს ვხდით სკოლების ნაწილს და მის მოსწავლეებს. მთლიანობაში, დაყოფა ეწინააღმდეგება პოზიტიურ იდეას, რომელიც განსხვავებულ მიდგომას გულისხმობს. გამოდის, რომ განსხვავებულად კი არ ვუდგებით სკოლებს, არამედ ვყოფთ კატეგორიებად და მაშინ, როცა ცუდზე, კარგზე, პირველ რიგში, სახელმწიფო პასუხისმგებელი, ვუშვებთ იმას, რომ სკოლების ნაწილში განათლების დონე შეიძლება იყოს დაბალი და ამას არაუშავს, ნორმალურია, რადგან იქ კვალიფიციური კადრი არ გვაყავს.

ტიპოლოგია თუ მიყვებით, მნიშვნელოვანია განსვლდნობა, რა საჭიროებები აქვს კონკრეტულ სკოლას. 2086 საჯარო სკოლა გვაქვს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამდენივე სკოლის სხვადასხვა ტიპოლოგია გვექნება, მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე. ამიტომ ასე ცალსახად სამ კატეგორიად დაყოფა მიუღებელია. შეიძლება კატეგორიების დაყოფის გარეშეც გავაკეთოთ დიფერენცირებული მიდგომები, დღესაც გვაქვს ამის პრაქტიკა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ, ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებს 15-მდე სპეციალური პანსიონის ტიპის სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ არავის დაუყვია ეს სკოლები ტიპებად, ასევე გვაქვს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლები. არაქართულენოვანი სკოლების სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები აბსოლუტურად განსხვავებულია ქართულისაგან, ისინი ჯერაც 2006-11 წლის სასწავლო გეგმით სწავლობენ და არ აქვთ ალტერნატიული სახელმძღვანელოები. ამ სკოლებთან ჩვენ უკვე გვაქვს განსხვავებული მიდგომები. იგივეა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას – მოქალაქეებს კვლავ უნდათ სისტემა. განსხვავებული მიდგომები გვაქვს მცირეკონტინგენტთან სკოლებთან მიმართებაშიც – ისინი საბაზო დაფინანსებით ფინანსდებიან, ხოლო დანარჩენი სკოლები ვაუჩერული სისტე-

მით. როგორც ხედავთ, აქაც განსხვავებული დაფინანსების სისტემა და, გარდა ამისა, თითოეული კატეგორია იძლევა სხვადასხვა კატეგორიებად, რომლებიც ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. როგორც ვხედავთ, ეს სისტემაც მოქმედებს საქართველოში. გარდა ამისა, მუშაობს მთის სკოლების დაფინანსების სისტემა. მთის კანონიდან გამომდინარე, სკოლები იღებენ სხვა სახის შეღავათებსა თუ დაფინანსებას. გარკვეულ დონეზე ასეთი ტიპოლოგიაც გვაქვს და მიდგომებიც განსხვავებულია, ყოველგვარი სპეციფიკური დაყოფის გარეშე, რომლის გაშლაც უფრო მეტად შეიძლება და არა მხოლოდ დაფინანსების მიმართულებით, არამედ მართვის, დირექტორების დანიშვნისა და ა.შ. არ არის აუცილებელი, სკოლას დაეარქვათ წამყვანი ან ჩამორჩენილი, დიფერენცირებული მიდგომა სახელმძღვანელების ან იარაღების მინებების გარეშეც შესაძლებელია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს არ იყო განათლების სამინისტროს იდეა და, აქედან გამომდინარე, არც ცვლილებების შეტანა იყო ასე ნაჩქარევად კანონში აუცილებელი.

შეიძლება ამ ცვლილებაზე აქცენტის გადატანით სხვა, არანაკლებ პრობლემატური, ცვლილებების გადაფარვა მოხდეს, მაგალითად, სახელმძღვანელოების გროფირების წესის შეცვლა. ახალი წესის თანახმად, მინისტრს პირდაპირ მიენიჭება დისკრეციის წესით მინიჭოს რომელიმე სახელმძღვანელოს გროფი. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოცემულბთან მოლაპარაკებელი, როგორც ჩანს, ვერ შედეგად და 2017 წელს სკოლებში ძველი სახელმძღვანელოების შეცვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საჯაროდ, სახელმძღვანელოების გაუმჯობესებულ ვერსიას არ იქნება. სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემა სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება, რაც სკოლების ტიპებად დაყოფით გადაიფარა და ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მის ცარმემო ატეხილ აუიოტაყში ჩაიკარგა. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ასევე სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, კერძო სკოლების დაფინანსება. ძალიან კარგია, თუკი კერძო სკოლების განვითარებაზე იზრუნებს სამინისტრო და, საჯარო სკოლებთან ერთად, ამასაც შეძლებს. მთავარი ამოსავალი კერძო სექტორის განვითარება უნდა იყოს, რამაც ჯანსაღი კონკურენციის პირობებში საჯარო სკოლების განვითარებასაც უნდა შეეწყოს ხელი. კერძო სექტორი, განსაკუთრებით რეგიონებში, საკმაოდ დაბალხარისხიანია და ვერ იძლევა ხარისხიან განათლებას. თავისთავად, კერძო სკოლებზე რამდენიმე სკოლის მაგალითზე არ უნდა ვიმსჯელოთ. პირველ რიგში, რეალურად უნდა ამუშავდეს კერძო სკოლების დაფინანსების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი – მშობლის არჩევანი. კერძო სკოლა ვაუჩერული დაფინანსებით ფინანსდება, მაგრამ 300 ლარი არ აძლევს მშობელს არჩევანის საშუალებას, რადგანაც, როგორც ცნობილია, ხარისხიანი განათლება გაცილებით ძვირი ღირს, დაახლოებით, 5000 ლარი. ამდენად, ასეთი სკოლა მშობლისთვის მანაც ხელმიუწვდომელია. ერთი მხრივ, კერძო სკოლების ვაუჩერული სისტემით დაფინანსება დამატებითი ფულის გადაყრაა, ხოლო მეორე მხრივ, 300 ლარი არასაკმარისია პატარა სკოლების განვითარებისთვის. დაფინანსების, ვერც მშობლის არჩევნის მოდელი მუშაობს ასეთი დაფინანსების პირობებში, ამიტომ სისტემის მოდიფიცირებაზე ფიქრი შესაძლებელია, მაგრამ კატეგორიულად ვენიშნავდეთ ცვლილებას, რომელიც სამინისტრომ განახორციელა და რომლის თანახმადაც, უფლებები მისცა სამინისტროსა და მთავრობას, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, დამატებითი თანხა გამოეყო რომელიმე კერძო სკოლას. ჩემი აზრით, მიზნობრივი პროგრამების ქვეშ სკოლების დაფინანსება გარკვეული რისკის შემცველია, რადგან არ არის ცნობილი, რა კრიტერიუმებით მოხდება დაფინანსება ან რა პროგრამებზე საუბარი. მაშინ როცა ქვეყანაში 230-240 კერძო სკოლა გვაქვს, ეჭვი ჩნდება, რა მიზეზით ხდება ამ სკოლების დაფინანსება და ასეთი მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, მით უმეტეს, თუ ვაკითვალისწინებთ პრეცედენტს, როცა სამინისტრომ 250 ათასი ლარით დააფინანსა საპატრიარქოს ერთ-ერთი პანსიონი. არადა, საპატრიარქოს სკოლებს საკმაოდ დიდი ნაწილი იმ კერძო სკოლების რიგშია, სადაც სწავლების ხარისხთან, ისე როგორც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და სასწავლო გეგმებთან მიმართებაში, სეროიზული კითხვის ნიშნები გვაქვს. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ამგვარი ტიპის დაფინანსების ინსტრუმენტი, თუმცა, დანამდვილებით არ ვიცი და ამიტომ ბოლოს ვერავის დავდებ, მაგრამ ამის შესაძლებლობას ეს ჩანაწერი ნამდვილად აჩენს. ერთი რამ ცხადია, გაურკვეველია, რა პრინციპით მოხდება 240 კერძო სკოლის დაფინანსება მიზნობრივი პროგრამებით და ბუნდოვანია, რამდენად სამართლიანად .

ირინა ხანთაძე, კოალიცია „განათლება ყველასთვის“ თავმჯდომარე: პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ამ პროცესს ბრენდირებას ვერ დავარქმევთ, რადგან სიტყვა ბრენდირება თავდაპირველად მხოლოდ სახელმძღვანელოების კონტექსტში იყო ნახსენები. უმჯობესია თუ ვიტყვით, რომ განხორციელდება სკოლების ტიპებად დაყოფა და არა ბრენდირება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ვთქვათ ისიც, რომ ეს დაყოფა არ გულისხმობს კარგ და ცუდ სკოლებად დაყოფას, არამედ გულისხმობს განსხვავებული ტიპის სკოლებისთვის განსხვავებული მიდგომების განსვლდნობას. ამიტომ, მიდგომა, რომ ეს სკოლა ცუდია და ამ კონკრეტულ კატეგორიაში მოხდება, ხოლო ის კარგი სკოლაა და სხვა კატეგორიაში, რასაკვირველია არც სწორია და არც არსებობს მსგავსი ჩანაფიქრი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი ინფორმაცია გვაქვს. ვმონანილობთ გარკვეულ დისკუსიებშიც და ასეთი ხედავ არსად მოგვისმენია. ამდენად, ვფიქრობ, უნდა გამოვიჩვენოთ სკოლების კარგ და ცუდ კატეგორიებად დაყოფის პრინციპი.

სკოლების ტიპებად დაყოფა ან გარკვეულ ტიპებად ჩამოყალიბება და განსაზღვრა იმ შემთხვევაშია კარგი, თუკი სკოლების

აქტუალური თემა

საჭიროებიდან ამოვა, განისაზღვრება განმასხვავებელი ფაქტორები და კონტექსტები, რომელიც სკოლას აქვს, ასევე რა რესურსებს ფლობს და ამის შემდგომ განისაზღვრება სკოლის ინდივიდუალურად განვითარების ადეკვატური ფორმები, რომელიც გააძლიერებს და გააუმჯობესებს სკოლას, თუნდაც, მართვის მხრივ. სხვადასხვა ზომის, კონტექსტის ან სხვადასხვა ვითარებაში არსებულ სკოლებს ერთნაირად თუ მიუღებელი, სანინა-ალმდეგო შედეგს მივიღებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს ინიციატივა, რაც კანონში ცვლილებით განხორციელდა, დასაბამია იმისა, რომ სწორედ ასეთი დიფერენცირებული მიდგომები გაჩნდება სკოლებთან მიმართებაში და მათ მართავს. მაგრამ, ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ეს დიფერენცირებული მიდგომები, რა კრიტერიუმებს დავეყრდნობით და რა სტრატეგიებს გამოვიყენებთ სკოლებთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ამაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. პრინციპში, რაც დღეს გვაქვს სახეზე, მსგავსი პოლიტიკის განხორციელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია და ბევრი კონკრეტული რამ არის მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი. ამიტომ იმის თქმა, რა შეიძლება იყოს ხვალი, გამიჭირდება, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სწორად განხორციელებული დიფერენცირებული მიდგომა პრინციპულად მისაღებია, ჩვენ ამ პოლიტიკასა და ამგვარი მიდგომების აუცილებლობაზე დიდი ხანია ვსაუბრობთ.

საუბარი იყო იმაზეც, რომ სკოლების ტიპებად დაყოფით

გარკვეულ დისკრიმინაციას არ ჰქონდეს ადგილი. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაცია მოსწავლის დონეზე არ ხდებოდეს და ნებისმიერ ბავშვს, რომელიც საქართველოს სკოლებში იღებს განათლებას, თანაბრად ჰქონდეს წვდომა ხარისხიან განათლებაზე. შესაბამისად, ეს რეფორმაც (თუკი ასე დავარქმევთ) უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ მოსწავლეებს ყველა სკოლაში მაქსიმალურად ჰქონდეთ კარგი განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც მთავარია, შეეძლოს განვითარებაზე ორიენტირებული და გაუმჯობესების დინამიკით გამორჩეული განათლების მიღება. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ დღეს ყველა სკოლას თანაბარი ხარისხის ზოგადი განათლების მიწოდება შეუძლია, ამიტომ უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს ზრუნვა იმაზე, რომ გაიზარდოს და გაუმჯობესდეს ზოგადი განათლების მიწოდების ხარისხი. ეს ვერ მოხდება, თუ სწორი დი-აგნოზი არ დავსვით, სწორი კონტექსტუალური ანალიზი არ გავაკეთებთ და იქ, სადაც საჭიროა, ადეკვატური ინტერვენცია არ განვიხორციელებთ. თუ ყველა სკოლას ერთნაირად მოვეცდებით, ამით იმ სკოლებსაც დავაზარალებთ, სადაც უკეთესი მდგომარეობაა და ვერც იმ სკოლებს დავეხმარებით, სადაც შედარებით ცუდი მდგომარეობაა. ამიტომ აუცილებელია ისეთი პოლიტიკის შექმნა, რომელიც სკოლის საჭიროებებს გამოავლენს. თუმცა, ვიტყვით, რომ დისკრიმინაციული ვერაფრით ვერ იქნება იმის განსაზღვრა, როგორ მოვეცდებით სკოლას მისი საჭიროე-

ბიდან გამომდინარე, არც ის არის დისკრიმინაცია, კონკრეტულ სკოლას მეტი თავისუფლება მიეცეთ იმისთვის, რომ დაავიდასტუროს, გარკვეული პარამეტრებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს, ვიდრე სხვა სკოლებს (თავიდან შესაძლოა, მათ ცოტა ნაკლები თავისუფლების სივრცე მიეცეთ). დისკრიმინაცია იქნება ის, რომ არაფერი გავაკეთოთ ამ კუთხით და ყველაფერი ისე გავრძელებდეს, როგორც დღეს არის. შესაბამისად, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ის უნდა იყოს, იღებენ თუ არა ბავშვები იმ სკოლაში შესაბამის განათლებას.

რასაკვირველია, სკოლებს, სადაც რესურსების სიმწირეა, ამ მიმართულებით სჭირდებათ მხარდაჭერა. სახელმწიფო, დიფერენცირებული მოდელის თვალსაზრისით, პირველ ნაბიჯებს დგამს და ამიტომაც, ამ ცვლილებას განვიხილავთ, როგორც ინსტრუმენტს იმისათვის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ყველა სკოლა იყოს ისეთი, როგორც ჩვენს საზოგადოებას სურს და რომელზეც დღეს ვოცნებობთ. ამიტომაც ამ ინიციატივას უფრო ჩარევის ინსტრუმენტად განვიხილავთ და არა რაღაც დამტყამვისა და სკოლებისთვის გარკვეული ნიშის მიჩენის ან იარაღის მიკერების პროცესად. ძალიან ბევრი იქნება იმაზე დამოკიდებული, როგორ მოდელს მივიღებთ რეალურად, შესაბამისად, ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია. იმედი, უკეთესობისკენ იქნება გადადგმული ნაბიჯი, თუ, რა თქმა უნდა, გონივრულად გავაგრძელებთ ცვლილებებს.

ოფისიალური დოკუმენტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების ახალი წესი დამტკიცდა, მისი წინამდებარე, 2012 წელს მიღებული, ძალადაკარგულად გამოცხადდა. ბრძანებას ხელს აწერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯიჯელავა.

სკოლებში მოსწავლის ჩარიცხვის ახალი წესი

საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა

1. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას, სექტორების მიხედვით, განსაზღვრავს შესაბამისი საჯარო სკოლა, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. საჯარო სკოლა ვალდებულია, სექტორების შესაბამისად, პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემები ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

4. ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა) ვალდებულია უზრუნველყოს, საჯარო სკოლების და სექტორების შესაბამისად, საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემების მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია

1. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის/ფორმების შესაბამისად.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ეტაპებზე საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის (შემდგომში – რეგისტრაცია) და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. რეგისტრაცია ხორციელდება სამ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომელთა და-ძმაც წავლობს ამ საჯარო სკოლაში, რომელთა მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია, რომელთა ოჯახიდან, ერთდროულად, ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

ბ) მეორე ეტაპზე – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა წრეს (საყოველთაო რეგისტრაცია);

გ) მესამე ეტაპზე – ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირთა რეგისტრაციისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ ან თავისუფალ ადგილებზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, რეგისტრაციას უზრუნველყოფს ის საჯარო სკოლა, სადაც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს, რომ ჩარიცხოს მოსწავლე.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეგისტრაციას ახორციელებს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

6. რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ საჯარო სკოლაში.

7. რეგისტრაციის სამივე ეტაპის ვადის ამოწურვამდე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია გააუქმოს რეგისტრაცია მართვის სისტემის მიერ რეგისტრაციისას

მინიჭებული უნიკალური კოდის გამოყენებით და ამავე ვადაში განახორციელოს ხელახალი რეგისტრაცია.

საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა

1. საჯარო სკოლა ვალდებულია, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების წარდგენიდან ორ სამუშაო დღეში განიხილოს დოკუმენტაცია და:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ლილაკის გამოყენებით დაადასტუროს მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი, კანონმდებლობით დადგენილი, დოკუმენტების მიღება;

ბ) შეუსაბამო ან არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, დამატებით განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოფხვრისთვის, არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

გ) დასაბუთებული უარი განუცხადოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარდგენილი დოკუმენტაციის მიღებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჯარო სკოლის დირექტორი გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ.

3. საჯარო სკოლა ვალდებულია, პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია და ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე.

4. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ, საჯარო სკოლაში პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, ავტომატურად უქმდება რეგისტრაცია.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების ახალი წესი

მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული დაფინანსება და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/არსულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

3. სკოლა ვალდებულია, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადამწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტი და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა მოსწავლის პირად საქმეში არსებული მოსწავლის დაბადების მოწმობის დედანი (არსებობის შემთხვევაში) მოსწავლის სტატუსის შეჩერების პერიოდით, ხოლო პირად საქმეში რჩება მოსწავლის დაბადების მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.

მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა

1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მი-

მართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.

3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.

5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლად უნდა ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

პროფესიული განათლება

მოდულური პროგრამების დანერგვა – პროფესიული რეფორმის პირველი შედეგები

კახა ერეკლე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების მენეჯერი



მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვით ბევრი თვისებრივი სიახლე შევიდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შესაბამისად, რეფორმის ორიენტირების სწორი გაცნობიერება, სიახლეების დანერგვისთვის მზაობა და ახალი მეთოდოლოგიების ცოდნა, მოდულური პროფესიული პროგრამების წარმატებული დანერგვის მნიშვნელოვანი ეტაპია.

2015 წლიდან პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დანერგვის კომპონენტი აქტიურად ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კონსულტირებას დანერგვის ყველა ეტაპზე და დანერგვის პროცესის მხარდაჭერას გამოწვევების სწრაფი იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირებისთვის.

ამ მიზნით, 2015-2016 წლებში, სულ განხორციელდა კონსულტირების 75 და მხარდაჭერის 154 ვიზიტი.

დღეისათვის მოდულურ პროგრამებს ახორციელებს 43 საგანმანათლებლო დაწესებულება. აქედან 29 კოლეჯი როგორც საჯარო, ასევე კერძო, 12 უმაღლესი და 2 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

2015-2016 წლებში ავტორიზებული და სწავლებაში ჩაშვებულია 59 დასახელების 2016 მოდულური პროგრამა, მათ შორისაა 3 დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება), რომელიც 2016 წლის მთავარი მიღწევაა. გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართული პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სერვისების მოდერნიზაციის პროექტთან“ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობით მომზადებული აგრარული მიმართულების სამი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული პროგრამების განმარტებულ 4 საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, მომზადდა მეხილეობის, მეცხოველეობის და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამები დუალური მიდგომებით განსახორციელებლად და დაიწყო ამ პროგრამების დანერგვა 2016 წლის საშემოდგომო მიღებიდან. დუალური მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 60-მდე სტუდენტი.

2015-2016 წლების ასევე მთავარი მიღწევაა საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. ამ დრომდე პროფესიული განათლების სისტემაში სახელმძღვანელოები ერთ-ერთი ყველაზე

პრობლემატური საკითხი იყო. არსებული სახელმძღვანელოები ზედმეტად მოძველებული ან არაქართულენოვანი იყო და არასაკმარისად ხელმისაწვდომი. კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამები თვისებრივ სიახლეს სთავაზობს პედაგოგებს როგორც შინაარსობრივი, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიების თვალსაზრისით, შესაბამისად, პროფესიულ მასწავლებელს განსაკუთრებით სჭირდება საგანმანათლებლო რესურსი მოდულური პროფესიული პროგრამებით სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის.

2015 წელს მომზადდა პროფესიული სტუდენტის 51 სახელმძღვანელო და მასწავლებლის 7 გზამკვლევი, ხოლო 2016 წელს – პროფესიული სტუდენტის 28 სახელმძღვანელო და მასწავლებლის 10 გზამკვლევი. მომზადებული საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ვებგვერდზე – vet.ge.

მიმდინარე წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად განვიხილავთ პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების ინტეგრირებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, რაც არსებული საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებებია. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან ერთად, განხორციელდა პროფესიული პროგრამების და ესგ-ის ანალიზი, ჩამოყალიბდა მიდგომა და შემუშავდა ინტეგრირებული მოდულები, რომელიც საბაზო განათლების მქონე პროფესიულ სტუდენტს სრული ზოგადი განათლების შედეგებზე გაიყვანს და ამით გზას გაუხსნის უმაღლესი პროფესიული ან აკადემიური პროგრამებისაკენ. ამჟამად ამ მოდულების პილოტირება ორი პროგრამის ფარგლებში, სამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარეობს.

პროფესიული განათლების სივრცეში სკოლებიც შემოვიდნენ. მაგალითად ავარის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო. ჩვენ მივესალმებით ასეთ ინიციატივებს, რაც განათლების სხვადასხვა საფეხურების წარმატებულ ინტეგრაციას, მოსწავლეებისათვის სწავლისა და დასაქმებისათვის სხვადასხვა ალტერნატივების შექმნას, პროფესიული განათლების ფართო ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. იმედი გვაქვს, რომ ავარის სკოლის მაგალითს სხვა

სკოლებიც მიბაძავენ.

2015-2016 წლებში, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, პერმანენტულად ეწყობოდა საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარებული შეხვედრები პედაგოგებთან, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს მასშტაბით. შეხვედრის მთავარი თემა იყო დანერგვის მხარდაჭერის ანგარიშებიდან წამოსული მთავარი გამოწვევები და პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები. დანერგვაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან გამართულ რეგიონულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 500-მდე მასწავლებელმა.

2016 წელს ასევე განხორციელდა შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებიც სწავლობდნენ მოდულურ პროგრამებზე, ჯერ თბილისის მასშტაბით არსებული საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან, ხოლო 23 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, პროფესიული რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპის შედეგების შეჯამების და რეფორმის სამომავლო ნაბიჯების განხილვის, ასევე პროფესიული მოდულური განათლების პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრა გამართა საქართველოს მასშტაბით არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების მოდულური პროგრამების სტუდენტებთან. შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციის მიღება თავად სტუდენტებისგან მოდულური და დუალური პროგრამების დანერგვის მიმდინარეობის შესახებ. ასევე, პროგრამების ფარგლებში, სტუდენტთა მიღწევების, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარება.

ძალიან გაგვახარა სტუდენტთა პირველმა შედეგებმა და მიღწევებმა. ისინი სწორად აფასებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც რეფორმირებული პროფესიული განათლების სისტემა სთავაზობს მათ. სახეზეა სტუდენტების მიერ შექმნილი რეალური მცირე ზომის ბიზნესები, რომლებიც უკვე შემოსავალს აძლევენ მათ. ეს მხოლოდ დასაწყისია, რეფორმის პირველი წარმატებული შედეგები სტიმულს გვაძლევს, მეტი ძალისხმევა გავწვიოთ არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად და დაწყებული რეფორმა ბოლომდე მივიყვანოთ.

მოდულურ/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განმარტებული დანერგვის პირობები

- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი);
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი;
- მეფუტკრე;
- ფარმაცევტის თანაშემწე;
- რესტორნის სერვის მენეჯერი;
- ბართენდერი;
- მასაჟისტ-რეაბილიტატორი;
- პრაქტიკოსი ექთანი;
- ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვებელი;
- მიღება-განთავსების სპეციალისტი;
- სასტუმრო საქმის სპეციალისტი;
- ბულალტერ-ტექნიკოსი;
- მოლარე;
- ოფისისმენეჯერი;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი;
- ტუროპერატორი;
- თმის სტილისტი;
- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი;
- ბანკის მოლარე-ოპერატორი;
- საბაჟო საქმის სპეციალისტი;
- შემფასებელი;
- ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი;
- არქიტექტორ-ტექნიკოსი;
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი;
- ვებ-ინტერფეისის დიზაინერი;
- ვებ-ინტერფეისის დეველოპერი;
- ვებპროგრამისტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი;
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი;
- ზინკალ-სანტექნიკოსი;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
- ბულალტერი;
- თექის ოსტატი;
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი;
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი;
- ღონისძიების მენეჯერი;
- კონსულტანტ-გამყიდველი;
- ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი;
- ფილამწყობი;
- ბექდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი;
- საკერავი მანქანის ოპერატორი;
- ექთნის თანაშემწე;
- მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი;
- ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
- სისტემების ადმინისტრატორი;
- სარეკლამო აგენტი;
- ბიბლიოთეკარი;
- ვიზაჟის სპეციალისტი;
- ღონისძიების დიზაინერი;
- პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი;
- მუსიკის რეპეტიტორი;
- პიანისტ-აკომპანიატორი;
- იუველიერი;
- მემინანქრე;
- გარემოს დაცვის ტექნიკოსი;
- სადაზღვევო აგენტი;
- ფოტოგრაფი;
- ტრაქტორისტ-მემანქანე;
- ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი;
- სამთო ტექნიკოსი;
- სამთო ელექტრომექანიკოსი;
- მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნიკური სპეციალისტი;
- მქარავი;
- კალატოზი;
- მებათქამე;
- მღებავი;
- აგრარული ტექნიკის მექანიკოსი;
- თევზის მომშენებელ-ოპერატორი;
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატივრთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი;
- სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი;
- ტრიკოტაჟის მქოველ-ოპერატორი;
- ელექტროამპრავისა და ელექტრომომარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი (1000ვ. ქვემოთ);
- სამგანზომილებიანი მოდელირების და ტექსტურიების სპეციალისტი;
- სამგანზომილებიანი განათებისა და ვიზუალიზაციის სპეციალისტი;
- მზარეული;
- კონდიტერი;
- მევენახეობა-მეღვინეობა (დუალური);
- მეხილეობა (კურკოვანი, თესლოვანი და კაკლოვანი კულტურები) (დუალური);
- მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური).

პროფესიული განათლება

მოდულურ/დუალურ პროგრამებს ახორციელებენ შემდეგი საბანსანათლებლო დაწესებულებები

თბილისი - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
თბილისი - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“;
თბილისი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;
თბილისი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
თბილისი - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი;
თბილისი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“;
თბილისი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“;
თბილისი - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA;
თბილისი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი“;
თბილისი - შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“;
თბილისი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“;
თბილისი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, საზოგადოებრივი კოლეჯი;
თბილისი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თბილისი - შპს მილენიუმ აკადემია;
თბილისი - ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი;
თბილისი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „21 საუკუნე“;
თბილისი - შპს დავით აღმაშენებლის აკადემია;
თბილისი - შპს კოლეჯი „ხვალენდელი ნარმატებისათვის“;
თბილისი - შპს დავით ტვილიძის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი;
თბილისი - შპს „ორიენტირი“;
თბილისი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი;
თბილისი/ქუთაისი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ქუთაისი - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ქუთაისი/ბაღდათი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“;
გორი - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
გორი - შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა;
ქარელი - სსიპ დაბა აგარის საჯარო სკოლა;
მცხეთა - სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი;
რუსთავი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“;
მარნეული - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი;
თელავი - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
კაჭრეთი/ქვემო ალვანი/დედოფლისწყარო - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“;
ბათუმი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“;
ბათუმი - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
ბათუმი - შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია;
ბათუმი - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ქობულეთი - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“;
ფოთი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“;
ზუგდიდი/სენაკი - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
ჯვარი - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“;
ხიჭაური - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი;
მესტია - სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“;
ამბროლაური - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“;
ახალციხე - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ახალციხე - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“.

კონკრული უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზაფხულის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თამაზა „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მესხიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ვგუფური, ისე სამაგიდო);
გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსის მოწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.
საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

- 1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეორჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, jpg ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილ ასევე jpg ფორმატით;
4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეორჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).
სასურველია, ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.
სასურველია, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

- სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს;
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
ან მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

- 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – თამაშის დასახელება;
2. ავტორი – მოსწავლე/ეგზის სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;

- 5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;
სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
ნიმუშის ჩანერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;
ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;
რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);
სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;
რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.
აღწერეთ თამაშის პროცესი
სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოადგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

ბეჰკონტაქტით: სამუშაო დღეებში

599 08 40 03; ან 577 27 80 02

aramaterialuri@yahoo.com

მაკაა თაქთაქიშვილი, კომტა ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებულის, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დაგეგმვაში ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლება“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქობაგის“ წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

გამომავალი

სახელმძღვანელობის ბაზრიდან გამომავლობის გაქვეყნება დანაშაულია

2016 წლის 29 ოქტომბრის ვაზით „ახალი განათლებაში“ გამოქვეყნდა ლალი თვალაბიძის სტატია. ვაზითის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „რა პირობით დაბრუნდებიან გამომცემლები სახელმძღვანელოების ბაზარზე?“ სათაურის სახით წარმოდგენილი, თავად ამ კითხვის არსებობა წარმოუდგენლად მიუღებელია. პირველი, გამომცემლობების სახელმძღვანელოების ბაზრიდან გაქვეყნება დანაშაულია; მეორე, გამომცემლობების სახელმძღვანელოების ბაზარზე დასაბრუნებლად პირობების დანესებაც დანაშაულია, და კიდევ, ვინც ამ ფაქტს დღემდე გულგრილად უყურებდა, დამნაშავეები არიან.

გამომცემლობა, ეს ხომ სპეციფიკური დარგია. მათთვის სხვა ქვეყნის ბაზარი არ არსებობს, მხოლოდ შიდა ბაზარია და ეს სახელმძღვანელოებს უკავშირდება. ხოლო მათი სახელმძღვანელოების ბაზრიდან გაქვეყნება განაპირობებს გამომცემლობების დახურვას ან, უკეთეს შემთხვევაში, გაკოტრებას. დღეს, საუბედუროდ, ორივე სახის შემთხვევები გვაქვს.

გამომცემლობების დირექტორები ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ „ოთხი წლის განმავლობაში განათლების სამინისტროს მხრიდან გამომცემლობებთან დიალოგის არანაირი მცდელობა არ ყოფილა“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, გამომცემლობებს რომ განუდგე, ნიშნავს უარი უთხრა ქვეყნის ინტელექტუალურ განვითარებას, საფრთხე შეუქმნა ქვეყნის გადარჩენის გზას.

დღეს მოქმედმა მინისტრმა ისურვა გამომცემლობებთან მოლაპარაკება და ეს პოზიტიურია, თუმცა ვეჭვობ, რომ ეს ობიექტურებით იყო განპირობებული. „ვინაიდან, შეიცვალა

ეროვნული სასწავლო გეგმა, უნდა გამოცხადდეს ახალი გრიფირება დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებზე. I-IV კლასებზე იქნება სრული გრიფი, ხოლო V-VI კლასებზე გამოცხადდება პილოტირება, ანუ საპილოტედ შეიქმნება წიგნები, რაკი ძალიან ცოტა დრო გვაქვს იმისათვის, რომ განახლებული სახელმძღვანელოები შევქმნათ“.

ახალმა გრიფირებამ, ახალი სახელმძღვანელოების შექმნამ, პილოტირების გამოცხადებამ და დროის სიმცირემ აიძულა მინისტრი შეხვედროდა გამომცემლებს და არა იმისთვის, რომ მათთვის ბაზარი გაეხსნა.

განათლების სამინისტროს მიერ, სახელმძღვანელოების რამდენჯერმე უპროცენტოდ გასესხების მიზნით, სახელმძღვანელოების შესყიდვა ნიშნავს გამომცემლობებისათვის ბაზრის დახურვას. სახელმძღვანელოების ფასებს რაც შეეხება, მინისტრი აღნიშნავს, რომ „ფასები იქნება უფრო, ასე ვთქვათ, მოკეპილი“. მე არ ვიცი, რას გულისხმობდა მინისტრი, მაგრამ ვიცი ის, რომ სახელმძღვანელოების დაწერა და მავიდაზე გასაყიდად დადება, ავტორისაგან და გამომცემლებისაგან, კოლოსალურ გონებრივ და ფიზიკურ შრომას მოითხოვს. ამიტომაც ფასებს ავტორები და გამომცემლები უნდა აწესებდნენ. ავტორები თვლემენ, უმოქმედოდ არიან, რადგან იციან, რომ სანამ დღეს არსებული წესი მოქმედებაშია, სახელმძღვანელოები აღარ შეიცვლება.

გამომცემლები, ყოველწლიურად, საჩუქრად სთავაზობდნენ მასწავლებლებს მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნების გაუმჯობესებულ ვარიანტებს, რომელსაც, ვფიქრობ, შეუძლია დღესაც ჩაანაცვლოს ძვირადღირებული, მოდადქვეული ტრენინგები.

სტატიიდან ვგებულობთ, რომ ოთხი გამომცემლობის („არტანუჯი“, „დიოგენე“, „ინტელექტი“, „ლოგოს პრესი“) სარჩელი სტრასბურგის სასამართლოშია. სანამ სტრასბურგის სასამართლო სარჩელს მიიღებდა, ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოს სასამართლოებში სამართალი ვერ იპოვეს.

უპრეცედენტო შემთხვევაა, მსგავსი რამ დედამიწის ზურგზე არ მომხდარა, რომ ოთხი გამომცემლობა, ერთდროულად, უჩიოდეს გაკოტრებას ან დახურვას. ეს ფაქტი მართო მოსამართლეებისათვის არ არის სამარცხვინო, არამედ ჩემთვის, ჩვენთვის და საერთოდ ქვეყნისთვის (ხელისუფლებისთვის). გამომცემლობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა ქვეყნის ინტელექტუალური დონის განმსაზღვრელია. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ყოველწლიურად უწყობდეს ხელს გამომცემლებს, მოხდა პირიქით – ხელოვნურად გააკოტრეს და დახურეს. სწორედ ეს გახლავთ ქვეყნის ინტელექტუალური კოლაფსი.

მინისტრმა უარი უნდა თქვას დღეს არსებულ წესზე – სახელმძღვანელოების მრავალჯერადად გასესხებაზე. 2017 წლის სექტემბრიდან კი, თავად მშობლები შეიძენენ სახელმძღვანელოებს შვილებისთვის. სახელმწიფოს კი, ოჯახებისთვის შვილების სწავლა-განათლების ხელშეწყობად, შეუძლია გამოინახოს დახმარების სხვა ფორმები, რომელიც არავის დააზარალებს.

დემურ კუსალიშვილი
ზუგდიდი, სოფელ ჩხორის საჯარო სკოლა

იურისტის კონსულტაცია

1994 წელს ჩამოირიცხა და 1998 წელს დავამთავრა უნივერსიტეტი ავღანეთში ბანკით, მანქანასა და ჩემი ხელფასის გამოანგარიშება გააკლავს შესაბამისად უნდა მოხდეს თუ მაგისტრის?

2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება საქართველოს რეგულარო სკოლებში მიმდინარეობდა მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული კოეფიციენტის მიხედვით, ხოლო ზოგიერთ საჯარო სკოლაში – ბაკალავრის ხარისხის კოეფიციენტის მიხედვით.

აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით სპმტპ-მა მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2016 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავას გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების შესახებ“ 126/ნ ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც მაგისტრთან გათანაბრებულად ითვლება 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4- წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება. აქედან გამომდინარე, თქვენი ხელფასის დაანგარიშება უნდა მოხდეს მაგისტრის ხარისხის შესაბამისად.

გარდა ორსულობის, მშობიარობის და გავრცელების მოვლის გამო შვებულებისა, ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა სხვა სახის შვებულებას მცირეწლოვანი გავრცელების დედასთვის?

დასაქმებულს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არაუმეტეს ნეწლიანდში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

მაქსიმუმ რამდენი ხნით შეიძლება დაიდოს გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულება და რამდენჯერ?

შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობით ფორმით. გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადი. ამ ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

შესაძლებელია პიროვნება შეთავსებით მუშაობდეს სხვა სამსახურში?

შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება, გარდა კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისა.

აუცილებლად უნდა დაიდოს ყველა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით თუ შესაძლებელია ზაპირი ხელშეკრულების დადგენა?

შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტი

ინფორმაცია

ორი ქართველი მოსწავლე აშშ-ში გაემგზავრება

ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით, ადგილობრივი საინჟინრო კონკურსის გამარჯვებული ორი ქართველი მოსწავლე აშშ-ში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის „გლობალური ინჟინერიის აკადემიის“ ერთკვირიან პროგრამაში. ალექსანდრე ხოხიაშვილს და ანი შუბლაძეს დღეს ტექნოპარკში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია შეხვდა და მათ მიერ შექმნილ საინჟინრო პროექტებს გაეცნო. გიორგი გახარია მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და სერტიფიკატები გადასცა. მოსწავლეებთან შეხვედრას ასევე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი და სამინისტროს ინიციატივით და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ კასრაძე ესწრებოდნენ.

ალექსანდრე ხოხიაშვილი კომპაროვის ფიზიკა-მათემატიკის 119-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა, ხოლო მე-11 კლასელი ანი შუბლაძე ბათუმის საერო ელიტარულ სკოლა „გორდაში“ სწავლობს. ხოხიაშვილი ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ინიციატივით კონკურსის მეორე ადგილზე გახლდათ გუნდის წევრია (პროექტი „პროცესორიდან ნირონამდე“), ხოლო შუბლაძე – ლეონარდო და ვინჩის კონკურსის ფინალისტი (პროექტი „გაუონის ალმკვეთი მოდული“).

„ჩემს მეგობრებთან ერთად გავაკეთეთ პროექტი „პროცესორიდან ნირონამდე“. ეს არის ძალიან მარტივ დონეზე აწყობილი სისტემა, რომელსაც, პროგრამის დაწერის ნაცვლად, ნებისმიერი მოწყობილობის თუ რობოტის აშუშავება შეუძლია სწავლების პროცესით. სწავლებაში იგულისხმება, რომ ადამიანი უნდა დაჯდეს და, პროგრამის დაწერის ნაცვლად, მოწყობილობას ასწავლოს, რა დროს როგორ იმოქმედოს“.

ანა შუბლაძის თქმით, მისი პროექტი „გაუონის ალმკვეთი მოდული“ საკმაოდ პრაქტიკული საჭიროებისაა და სხვადასხვა მილსადენებში ავარიული დაზიანების დროს უზრუნველყოფს დანაკარგის მაქსიმალურად შემცირებას. „გაუონის ალმკვეთი მოდული შეიძლება დამონტაჟდეს ნებისმიერ, სითხეგამტარ ან აირგამტარ, მილში და უზრუნველყოფს, ავარიის შემთხვევაში, გაუონის მაქსიმალური ალკვეთა და დანაკარგის აღმოფხვრა“ – აღნიშნა ანი შუბლაძემ.

აშშ-ში ქართველ მოსწავლეებს უნიკალური საშუალება მიეცემათ, გაიცნონ ტექნიკურ მეცნიერებებში მსოფლიოში აღიარებული პროფესორები და გაიზიარონ მათი გამოცდილება, ამასთან ერთად, წარმოადგინონ საქართველო და საკუთარი საინჟინრო პროექტები. როგორც ინიციატივისა და ტექნოლოგიების სააგენტოში აცხადებენ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო, საინჟინრო, ტექნოლოგიების მიმართულების (STEM) განვითარება. ეს არის მომავალი პროფესიები, რაზე მოთხოვნაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში იზრდება. საქართველოს ინიციატივის და ტექნოლოგიების სააგენტო კვლავ განაგრძობს STEM-ის მიმართულების წახალისებას და მათში ახალგაზრდების ჩართვას.

საინჟინრო მიმართულებების კონკურსი, გამარჯვებული მოსწავლეების შერჩევა და აშშ-ში გაემგზავრება ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით და ტექნოლოგიების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, აშშ-ში საქართველოს საელჩოს, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის, „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოსა“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.



ახალი ნიგნი

ხელოვნება მშვიდობისათვის

სვეტლანა ქეცბა ყველგან და ყოველთვის უდიდეს სიყვარულს, თავყვანისცემასა და მონივნებას იმსახურებს. მას პატიოსნების, სინდისისა და საკუთარი ხალხისთვის არასოდეს უღალატებია... ქართველ მწერალ ნიკო ლორთქიფანიძეს დავესხები: „...ტალახისა და ჭუჭყის ლელვა-ტორტმანში, ომსა და ნგრევაში თავისი ტვირთი ისე გაატარა, არც ფეხი და არც ხელი არ გაუსვრია და რაც კი შეეძლო, ისე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე“.

დაიხ, მან თავისი ერის სამსხვერპლოზე მუსიკის, ხელოვნების ერთი და უდიდესი საზოგადოებრივი საქმიანობით თავისი სათქმელი თქვა, სათქმელი – ქართველი და აფხაზი ერის ერთობისა და ერთიანობისათვის. მისი ცხოვრების დედო დვრიტა ქართველთა და აფხაზთა სიყვარულია, მისი საფიქრალი – მშობლიური აფხაზეთი და ერთიანი, ძლიერი საქართველოა. მისი ტკივილი და დარდი ორი მოძმე ერის ურთიერთობის განადგურებაა. მას სულს უფორიატებს ფიქრი, რომ „საქართველო უაფხაზეთოდ არაფერია და აფხაზეთი – უსაქართველო“ (გიორგი შარვაშიძე).

მისი აზრით, ადამიანის სრულყოფილი ბედნიერება მშობლიურ კუთხეშია, ურთიერთობებშია, ბედნიერება მშობლიური სანახებია, ადგილებია, სადაც გაიზარდა მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის უღამაზესმა წლებმა, სადა... ქართველი და აფხაზი ერთად ქმნიდა ეროვნულ კულტურულ და შემოქმედებით ფასეულობებს.

საუბარია აფხაზ ქალბატონ სვეტლანა ქეცბაზე, რომელიც გახლავთ თავისი ერისა და ეროვნული კულტურის უდიდესი მოამაგე, სოხუმის სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის დირექტორი, აფხაზეთის კულტურის მინისტრი და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, დევნილობაში კი აფხაზეთის კულტურის მინისტრი და მუსიკალური სკოლის დირექტორი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერი – ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და მისი ძალისხმევით შექმნილი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარეა და იქ აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას მშვიდობისათვის ორ მოძმე ერს შორის. ცენტრის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში საიმოვნებით მონაწილეობენ როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მოღვაწე საერთაშორისო დონის მუსიკოსები, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებები, პოლიტიკოსები და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მოღვაწეები.

სულ ახლახან გამოიცა ქალბატონ სვეტლანა ქეცბას წიგნი „გულის სასოვარი“. წიგნი გულში დიდი ხნის დაგუბებული ტკივილის გამოთქმის აუცილებლობამ დააწერინა ავტორს და მეც სურვილი გამიჩნდა საქვეყნოდ შეეხმინებოდი მას... ვკითხულობ და ჩემ თვალწინ ცოცხლდება საინტერესო სახეები იმ ადამიანებისა, ვინც აფხაზეთთან უდიდეს კულტურულ-შემოქმედებით კავშირებს ქმნიდა, ცოცხლდება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ხელოვნების გამოჩენილი კორიფეების სახელები. ვკითხულობ და ვგრძნობ, რაოდენ



ძვირფას ურთიერთობებზე და ტრადიციებზე იქონია გავლენა ომმა. წიგნის ავტორის გულს კი არშისასვით შემოხვევია უამრავი სახსოვარი ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, რუსი თუ სხვა ეროვნების ადამიანთა ერთობა-ერთიანობისა.

აფხაზური ხელოვნების სიამაყის, საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მარინა ეშბასა და სვეტლანა ქეცბას კონტაქტებთან ერთად მის გულს შემორჩა უამრავი სხვა სახსოვარიც, რომლითაც დღესაც სულდგმულობს. წიგნის ავტორის თქმით, ვერაფერს ძალუძს ჩააქროს გულის სახსოვარი, გაანადგუროს მადლიერება იმ საუკეთესოს მიმართ, რაც მონობდებოდა, გაალამაზოს და სულიერად გაამდიდროს ადამიანი...

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალბატონ სვეტლანას დამოკიდებულებას უმალეს სასულიერო პირებთან. „დილით სასწაულის მოლოდინში ვაგიღვიძებ... დარეკა მობილურმა, – იხსენებს ავტორი, – თქვენ დაგვლაპარაკებთ უნმიდესი...“ მან თავდაპირველად ვერ დაიჯერა, მიხვდა, სასწაულის მოლოდინი აუხდა, პატრიარქი გურიიდან რეკავდა. „უნმიდესს მთელი ღამე უფიქრია იმაზე, როგორ გაელამაზებინა ადამიანის ცხოვრება, – წერს თავის მოგონებებში ქალბატონი სვეტლანა – შესწევს თუ არა ძალა სილამაზეს შეცვალოს საყვარელი, შეეხოს ადამიანის სულის უხილავ სიმებს, უფიქრია შექმნილიყო წიგნი, რომელშიც მისი თანამემამულეები გაგვაცნობდნენ მშვენიერების საკუთარ ხედვას და ამით სტიმულს მისცემდნენ მათ ზიარებოდნენ ღვთაებრივ მადლს“. ასე შეიქმნა წიგნი „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“.

„აფხაზეთის სულიერი მწყემსი“ – ასე იხსენიებს ქალბატონი სვეტლანა მეუღლე დანიელს, რომელმაც მის ცხოვრებასა და საქმიანობას დიდი სულიერი ძალა შემატა.

რაოდენ აუცილებელი იყო ეს წიგნი თაობისთვის, რომელსაც თვალთ არ უნახავს აფხაზეთი. ისინი ხომ არ იცნობენ იმ ადამიანებს, რომელთა ღირსეულად განვლილ გზებზე მადლიერების გრძნობით გაივლიან თაობები და, ხელოვნების ერთი, ღირსეული სიტყვას იტყვიან ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში.

ვკითხულობ წიგნს, დანერჩის იმ ადამიანებზე, ვინც მოკრძალებული კვალი დატოვა ავტორის მეხსიერებაში. ვგრძნობ ქვეტექსტსაც... წიგნის ყოველი პნკარის ქვეშ იკითხება დარდი და ფიქრი მშობლიურ სახლზე... „ვინ იცის, ვახმა, თუ ისევ ყვავილობს ჩემი სახლის ღობეზე სუროსავით მოხვეული ვარდები?“ – იტყვის ერთხელ და უნებურად მახსენდება პოეტის სიტყვები: „...ვინ იცის, იქნებ იქ, ჩვენს ეზოში ვალობს შაშვი და ყვავის ალურა...“

დაიხ, წიგნი მისი სულის სარკეა, მისი ტკივილი და მონატრება... მონატრება ლამაზი, შინაარსიანი და საინტერესო შემოქმედებითი ნარსულისა, ნარსულისა, რომელმაც ქართველისა და აფხაზის მომავალ ურთიერთობებზე უნდა იქონიოს გავლენა... ქალბატონმა სვეტლანამ ამ წიგნით თითოეული ჩვენგანის სათქმელი თქვა. მან ხელოვნების ერთი თითოეული დევნილის გულის სატკივარს უწამლა. მისი აზრით, წიგნის ძირითადი სათქმელი აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის სიტყვებია: „ხალხების ერთიანობა კულტურის სახელით შეიძლება გახდეს მათი შერიგების, თანხმობისა და ყველაფერის სანინდარი, ვინაიდან სწორედ კულტურა შეიცავს კაცობრიობის სულიერი გამოცდილების შემართვას საგანძურს“.

ქალბატონმა სვეტლანამ ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის გასამყარებლად სწორი გზა აჩვენა – ხელოვნების გზა მშვიდობისაკენ. მშვიდობა სწორედ ურთიერთობების ხელშეწყობა და მჯერა, რომ მისი არჩეული გზა სწორადაა მიმართული აფხაზეთა გულებისკენ.

ქალბატონი სვეტლანა, უაღრესად თბილო, უაღრესად გულმართალი შენი ერისა და ხალხის წინაშე, დედა ღვთისა შეუნდობს ქართველსა და აფხაზს. გჯეროდეთ, თქვენი და თქვენ-ნარი პიროვნებების ძალისხმევით ამოივსება გაჩენილი უფსკრული, ისევ დაიბადება გიორგი შარვაშიძე, რომელიც კვლავ გაიმეორებს სიტყვებს – „საქართველო უაფხაზეთოდ არაფერია და აფხაზეთი უსაქართველო“... ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით და ერთად წავიღვინებთ მამა-პაპურ „ვარადას“.

მედა ზუზუბაია

საუბრაზე ლიტერატურაზე

ამირანიანის ქალები

„ამირანიანის“ პერსონაჟი მამაკაცები ტიტანური ძალით გამოირჩევიან. თავად ამირანი ბუმბერაზია, დევებთან, გველესპაპებთან, ქაჯებთან მეომარი; იგი ნათლია ღმერთსაც ედიდგულდება და ეჭიდავება. ამირანის ძმები – ბადრი და უსუპი არანაკლებ ძლიერები არიან. ისინი, ერთმანეთის მიყოლებით, მარტონი ებრძვიან ღრუბელთხელმწიფის ლაშქარს. არამინიერი ძალის პატრონი ჩანს ცამცუმში, ბროლის კოშკში მწოლიარე მიცვალებული. თქმულებაში კიდევ ერთი გოლიათი გვხვდება, ოლონდ ისიც მიცვალებული. ესაა ამირანის მტერი ამბრი. ამირანს მკვდარი ამბრის ბარკლის დაძვრაც კი არ შეუძლია.

მამაკაცთა ასეთი ძლიერება ალბათ არც გასაკვირია. საინტერესოა, როგორები არიან „ამირანის“ ქალები. არიან თუ არა ისინი ტოლნი და სწორნი თავიანთი ეპოქის მამაკაცებისა. პირველი ქალი თქმულებაში ამირანის დედობილი დარეჯანია. დარეჯანზე მითი ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ ის, რაც ვიცით, საკმარისია მისი პორტრეტის შესაქმნელად. დარეჯანი არაფრითაა გამოირჩეული. იგი ჩვეულებრივი ოჯახის ქალია. დავაჟკაცებულ ამირანს დარეჯანის ძედ იხსენიებენ. დარეჯანიანისას უწოდებენ, ამირანს დარეჯანის ძეგო – მიმართავენ. ქალღმერთ დალის ნიალიდან ნაშობ ამირანს რომ დარეჯანის ძედ იტყვიან, ეს არ ჩანს პატარა ამბავი. დარეჯანი მონადირის ცოლია. მონადირე კი ხშირად სახლში არ იმყოფებოდნენ და ჩანს, დარეჯანს დიდი ღვაწლი უძღვის ამირანის ამირანობაში. ვაგიოთვალისწინოთ ისიც, რომ დარეჯანს სულკალმასთან სამი ვაჟი ჰყავს – ბადრი, უსუპი და ერთიც უფროსი, სადაც სწორს გადახვენილი. ამ სამიდან არც ერთი არაა ჯაბანი. ამირანზე ნაკლები ვაჟკაცები როდი არიან წყვეთის წესობი ბადრი და უსუპი. ხოლო გადახვენილი უფროსის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი „ლომი“ ცამცუმის მამაა. ცამცუმშიც ამირანს ტოლს არ დაუდებს ვაჟკაცობასა თუ დევთა მუსვრაში. ეს ყოველივე კი იმისთვის ვთქვით, რომ დარეჯანის მაღლიან დედაკაცობას გავუს-

ვათ ხაზი, რომ არავინ იფიქროს, ამირანი ღმერთკაცი იყო და დარეჯანი რა შუაშიაო.

დარეჯანთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნამდვილი, ხორციელად მშობელი დედა ამირანისა – დალი. დალი ქალღმერთია, მზეგარეული, ოქროსთმისი, ოქროს ხელსაქმის იარაღებით. მის ძალმოსილებაზე საუბარი საჭიროც აღარ არის. საგულისხმოა ამირანის დაბადების ადგილი – მაღალი კლდის მწვერვალზე აუვალი მღვიმე. ვაგიხსენოთ როგორ იწვალა სულკალმასმა იქ ასასვლელად. იქ მდებდრობითი სქესის არსებობას ასვლაც გაუჭირდებოდა და არსებობაც, მაგრამ დალი ხომ ქალღმერთია.

რამდენიმე ქალი გვხვდება ბროლის კოშკში, გარდაცვლილ ცამცუმთან – „ლომის“ დედა, დები და ცოლი. ვაგიხსენოთ, როგორ შეაღწია ამირანმა კოშკში: „სადაც რომ მზემ სხივი დაჰკრა, ამირანმა – მუხლი მგლისი“, კოშკმა კარი იქ შეიბა და ამირანი, ძმებითურთ, პირდაპირ ლომი ცამცუმის ცხედართან აღმოჩნდა. ცხედართან მსხდომ მგლოვიარე ქალებს წარბიც არ შეუხრიათ შეიარაღებული დევ-გმირების დანახვაზე. ესეც ერთი უტყუარი ნიშანი „ამირანიანის“ ქალთა ძლიერებისა.

ამირანის რჩეულიც ღვთაებრივი წარმომავლობის ქალია – ღრუბელთხელმწიფის ასული. იგი, პირველად, ოჯახში მოფუსფუსე ქალად გვევლინება, რომელიც ჭურჭლის რეცხვითაა გართული, თუმცა მალევე ამყვანებს არნახულ გამბედაობას, რომელიც გამჭრიახ გონებასთან ერთად უდავოდ ამშვენებს ამ ქალს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, ღრუბელთხელმწიფესთან ბრძოლისას ორივე ძმა რომ მოუკლეს ამირანს და ყამარ-ქალი საქმროზე ადრე აპირებს ომში შესვლას. ომიდან ხმალამონვდილი ამოდის ამირანი და კიდევ ერთ მამაც ქალს აწყვდება. უცნობი ქალი ამირანს მიმართავს:

„ნეტავ ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო, ცოლეურები გასწყვიტე, ვინ ვითხრა ბარაქალაო.“

ამ ქალზე არაფერი ვიცით, მაგრამ ნაომარ ღმერთკაცთან ასეთი თამამი შეხმინებით განა არ ავლენს ღირსეულ ბუნე-

ბას, ქალისათვის უჩვეულო უშიშრობასა და ძალას? საოცარ გამბედაობას ამყვანებს დევის ქალიც (ისიც ქალია)! იგი ამირანს დედისეული ნიშნების ამოსაცნობად ეკეკლუცება, იცის ამირანის ამირანობის ამბავი და მაინც არ უშინდება ბუმბერაზს მამში, როდესაც მისი ძმები (ცხრა ძმა დევი) ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულნი სხედან სახლში.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ამბრის დედა. ამბრიც ამირანივით ბუმბერაზი გმირია, მაგრამ ამირანის მონინალმდეგე. უკვე გარდაცვლილი ამბრის დედა ამირანის გამოცდა მოინდომა: „დარეჯანის ძეგ, შვილის ბარკალი ვადმომივარდა მინახედ, დაბლა ეთრევა და უპატიურადა ხდება, ასნიე, შედე ისეე, დედაშვილობას, ურემზევეო“. ამირანმა ამბრის ფეხი მინასაც ვერ ააცილა, თორემ ურემზე ხომ ვერ შედო. ამბრის დედისთვის კი ეს საქმე მარტივად შესასრულებელი აღმოჩნდა. ამბრის დედა შვილის ჯავრს მტერზე სიტყვით იყრის:

„ნესი თუ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდი, მოკრავდი მათრახის წვერსა,

ციხ გიდელ-გიდელ ვაგრევი.“

მას თავისი მდგომარეობა აფერხებს, თორემ ამირანზე ფიზიკურად ჯავრის ამოყრა, ჩანს, არ გაუძნელდებოდა.

თითქოს იმ თავის დედაც კი, რომელიც ყამარმა ქოშით მოკლა, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ მდებარეულ თვისებებს ატარებს. დედა თავი ყამარს უშიშრად კიცხავს.

დედა თავი საინტერესო სახეა იმიტაც, რომ მას ბალახით მიცვალებულის გაცოცხლების ცოდნა აქვს.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, „ამირანიანის“ ქალები ყოვლის შემძლებად გვევლინებიან. ვაგიოთვალისწინოთ ისიც, რომ „ამირანის“ თქმულების ზოგიერთი ვარიანტი ამირანის უმანკოდ ჩასახვის იდეას ემხრობა, რაც უდავოდ გამოძახილი მატრიარქალური ეპოქისა. ერთი კია, დარეჯანის ძის წარმოშობა მხოლოდ დარეჯანის მსგავს ქალებს ძალუძთ.

ნათია მჭედლიშვილი

სპორტი

დაპირებები არის, მაგრამ შესრულება?

ღმერთმა ქნას, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის მიერ გაფორმებული ინიციატივები რეალურად იქცეს, ყველა თუ არა, ნაწილი მაინც, რაც დიდი ბიძგი იქნება საქართველოში დღეს ასე მიძინებული ან სულაც გამქრალი სასკოლო, ბავშვთა თუ სტუდენტური სპორტის განვითარებისთვის, რაც, თავის მხრივ, მაღალი მიღწევების სპორტს დაედება საძირკვლად. ანალოგიური დაპირებების შესრულება თქვით, თორემ მსგავსი ფრაზები ადრეც ხშირად მოგვისმენია, მაგრამ საქმე მკვდარი ნერტილიდან არ დაძრულა.

ლაპარაკია იმ განცხადებებზე, რომელიც ქვეყნის პრემიერმა ამ დღეებში თბილისში, 103-ე საჯარო სკოლის საზეიმოდ გახსნაზე გააკეთა. „გვინდა, დღეიდან ყველა სკოლას, ყველა ბავშვს შევთავაზოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ფიზიკური აქტივობა. ჩვენ განათლებისა და სპორტის სამინისტროებთან, სპორტულ ფედერაციებთან ერთად შევიმუშავებთ ფიზიკური აქტივობის პროგრამას, რომ ყველა ბავშვი ჩაერთოს მასში“ – განაცხადა კვიციანიშვილმა. მან იქვე ახალი სამთავრობო ინიციატივაც გააცნო საზოგადოებას – განათლების რეფორმის ფარგლებში, ხელისუფლება იწყებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას და იღებს ვალდებულებას, რომ ყველა მოსწავლე ჩარ-

თული იქნება სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობაში. თურმე მთავრობა ამ საქმეში განათლებისა და სპორტის სამინისტროების იმედად ყოფილა, რომლებიც სპორტულ ფედერაციებთან ერთად, სკოლებს შესაბამის პროგრამებს შესთავაზებენ, რათა ჯანსაღი ცხოვრების წესი ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ნაწილად იქცეს. ამის მაგალითი კვიციანიშვილმა იქვე უჩვენა მედიას, როცა გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთანამშრომლობის შესახებ 103-ე სკოლასა და ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის, რაც აღნიშნულ სკოლაში სპორტის ამ სახეობის დაწესებულების განვითარებას ითვალისწინებს. თუმცა ფრენბურთის გარდა, ამ სკოლის მოსწავლეები ხელბურთში, კარატეში, უკონტაქტო რაგბიში, მძლეოსნობასა და კალათბურთშიც ივარჯიშებენ. აღსანიშნავია, რომ 1000 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რაც ქართული რეალობისთვის, ცოტა არ იყოს და უცხოა.

ახალი პროექტის რეკლამირებაში ქვეყნის პრემიერს არც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ჩამორჩა, რომელმაც ასე შეაფასა ახალი სამთავრობო ინიციატივა: „უნიშვნელოვანესი პროექტი დაეინიციეროს, რომელიც იძლევა საშუალებას, სპორტი შევიდეს ყველა სკოლაში. ამით გადაიჭრება ის პრობლემა, რაც მშობლებს აწუხებდა – ყველა მოზარდი დაკავებული იქნება სპორტით, რაც იმის ნიშანია, რომ ჯანსაღი თაობა გაიზრდება. თბილისსა და რეგიონებში ეტაპობრივად მიიწყება ინფრასტრუქტურა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ჩვენი სამინისტროსგან სკოლებს ინვენტარი გადაეცემა, პროცესში ყველა სპორტული ფედერაცია ჩაება. დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებს შორის მომავალი ჩემპიონები არიან“.



ბას, სპორტი შევიდეს ყველა სკოლაში. ამით გადაიჭრება ის პრობლემა, რაც მშობლებს აწუხებდა – ყველა მოზარდი დაკავებული იქნება სპორტით, რაც იმის ნიშანია, რომ ჯანსაღი თაობა გაიზრდება. თბილისსა და რეგიონებში ეტაპობრივად მიიწყება ინფრასტრუქტურა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ჩვენი სამინისტროსგან სკოლებს ინვენტარი გადაეცემა, პროცესში ყველა სპორტული ფედერაცია ჩაება. დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებს შორის მომავალი ჩემპიონები არიან“.

ალექსანდრე ჯეჯელავაც მიესალმა და ასევე მხარი დაუჭირა მას. „ჩვენ ვაპირებთ, ავამაღლოთ მოტივაცია ბავშვებში არა მხოლოდ სპორტის გაკეთებებზე, არამედ ზოგადად, სპორტში მათი ჩასართავად. ამ კონკრეტულ სკოლაში ჩვენი მხარდამჭერად ფრენბურთის ფედერაცია გამოჩნდა, თუმცა ამ ინიციატივაში არაერთი სპორტული ფედერაცია გვიდგას გვერდში. ჩვენი მიზანია, ბავშვების ჩართულობა სპორტში ყოველწლიურად გაიზარდოს, რაც მათი დიდი სურვილიცაა. ამ წამოწყებაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის სამინისტროს დახმარება თუნდაც ინვენტარით და სპეციალისტებით“ – განაცხადა მან.

მინისტრს ვეთანხმებით, თუმცა ამ საქმეში თავად განათლების სამინისტროს როლიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან სკოლები მათ ბალანსზე და ინვენტარისთვის საჭირო თანხაც უდევთ ბიუჯეტში. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში ასე იყო. თან სასწავლო დაწესებულებებში (საჯარო თუ კერძო სკოლებში, საბავშვო ბაღებშიც კი) სპორტის სწავლების პოლიტიკა, ტენდენცია და მიმართულებები სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განსაზღვროს, სპორტის სამინისტროს სულ სხვა საკურატორო სფერო რჩება. ამ დროს სკოლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას თუ გადავხედავთ, ძალიან ხშირად სრულიად საპირისპირო სურათია, ხოლო სკოლაშეღები ასაკის სასწავლო დაწესებულებებში სპორტზე ლაპარაკი, ვგონებთ, არცაა.



ძიმიტარაშვილმა წარმატება დაიხვედა

ახალი სპორტული სეზონი წარმატებით დაიწყო ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელებმა. მათ შორის ყველაზე მეტად 13 წლის ცოტნე ძიმიტარაშვილმა იყოჩაღა, ვინც ზედ ახალი წლის დღეს – 1 იანვარს, რუსეთის ქალაქ ხიმკიში, პირველი კატეგორიის ტურნირში ჩაება, ოდონდ ერთი წლით უფროსებს – 14-წლამდელებს შორის (აღსანიშნავია, რომ წასვლამდე ის, ამ ასაკში, საქართველოს ჩემპიონი გახდა). ამის მიუხედავად, წარმატებას მაინც მიაღწია და წყვილებში ესპანელ ალესანდრო ტურიზიან ალვარესთან ერთად გაიმარჯვა.

ჩვენი ჩოგბურთელი თავდაპირველად ერთეულებში ჩაება, სადაც ორი წრე გაიარა. აქედან პირველში თავისუფალი იყო, მეორეში უკრაინელ მიხაილო მოსურს სამ სეტში მოუგო (6:2, 2:6; 7:5). მესამე წრეში, მეორე სეტში ტრავმის გამო, ასპარეზობის გაგრძელება ვეღარ შეძლო რუს ჩინგიზ კაბიროვთან,

თუმცა პირველი 4:6 დათმო და მეორესაც 4:5 აგებდა. სამაგიეროდ, ამის შემდეგ ალვარესთან შეამხანაგებელი წარმატებით გადაერთო წყვილთა ტურნირში, სადაც მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს. ის თავიდან აქაც ისვენებდა, მერე კი, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მოსური-კაბიროვის მეტად უცნაურ ინტერნაციონალურ უკრაინულ-რუსულ დუეტს 6:0; 6:2, ილია ლებედევსა და ნიკიტა ბოჩკარევის რუსულ წყვილს 6:2; 7:5 სძლიეს, ფინალში კი პირველ ნომრად განთესილ სერბებს, მატეა იან იკუევიჩსა და ჰამად მეჯედოვიჩს სამ სეტში მოუგეს: 6:4; 1:6; 10:7, რითაც პირველი დიდი ტურნირის ჩემპიონები გახდნენ.

ამის შემდეგ ამ წყვილმა ხიმკიდან რიაზანში გადაინაცვლა და „კრემლის თასისთვის“ ბრძოლაში ჩაება და ასევე წყვილებში წარმატებამდე ბევრი არც იქ დაჰკვლია, ნახევარფინალში გავიდა. აქ ჩვენები პირველ ნომრად იყვნენ განთესილები, პირველ წრეში კი ისევ დაისვენეს. შემდგომ მათ ჯერ იტალიელებს – ფილიპო კარის და ჯულიო პერეგოს მოუგეს 6:0; 7:5, მეოთხედფინალში რუსებთან, ილია ლებედევსა და არისტაკ საფონოვთან პირველი სეტი 4:6 დათმეს, მაგრამ მომდევნო ორში 6:3; 10:5 იმარჯვეს, ნახევარფინალში კი მეტად ნომრად განთესილ მომავალ ჩემპიონთა რუსულ დუეტთან, რობერტ კორელოვსა და იგორ კუდრიამოვთან 4:6; 0:6 წააგეს. ძიმიტარაშვილი ერთეულთა შეჯიბრებაშიც ჩაება, მაგრამ ზუსტად ისევე დაასრულა გამოსვლა, როგორც ხიმკიში: პირველ წრეში დასვენებულმა მეორეში იმარჯვა და მესამედან გამოვარდა.

საახალწლო დღეებში ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელებმა არაბთა გაერთიანებულ ემირატებშიც იასპარეზეს, მაგრამ მხოლოდ ერთეულებში: ბიჭებში ნიკოლოზ დავლიანიძე გამოვიდა, გოგონებში – მარიამ დალაქიშვილი. ამათგან უფრო წარმატებით დალაქიშვილმა იქნია ჩოგანი – ფინალში ითამაშა, თუმცა დავლიანიძეც მეოთხედფინალამდე მივიდა.

ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა დალაქიშვილმა თავიდან რუს სოფია პლოტნიკოვას 6:2; 6:3 მოუგო, მერე იტალიელ ალისე ამენდოლას სამ სეტში, 6:1, 2:6; 6:1 აჯობა, ნახევარფინალში გერმანელი ესტელა ჯაგერს 6:3; 6:2 დაამარცხა, ფინალში კი თავად წააგო ფრანგ მილენა ჰალესთან – 3:6; 2:6. მესამე ნომრად განთესილმა დავლიანიძემ სერბ ვიქტორ იოვიჩთან პირველი სეტი 3:6 დათმო, მაგრამ მომდევნოებში მეტოქე „მშრალზე“ დატოვა: 6:0; 6:0. ესპანელ ალვარო ბუენო გილს 6:4; 6:4 მოუგო, მეოთხედფინალიც წარმატებით დაიწყო

ფრანგ ლუსიენ ფორესტიერთან – პირველ სეტში 6:4 იმარჯვა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მომდევნოები 1:6; 4:6 დათმო.

დალაქიშვილი წყვილთა ტურნირშიც ჩაერთო რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველ ზოზია ქარდავასთან ერთად, თუმცა იმის მიუხედავად, რომ პირველ ნომრად იყვნენ განთესილები, მაინც სტარტზევე წააგეს.

ჩოგბურთელთა ასაკობრივი ჩემპიონები

თბილისში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ჩოგბურთელთა შორის სამ ასაკობრივ კატეგორიაში – 12, 14 და 16-წლამდელებში ბიჭებშიც და გოგონებშიც. შეჯიბრების მიზანი ზამთრის თასებზე გასამგზავრებელი ნაკრებების დაკომპლექტება იყო, ამ უფლებას კი მხოლოდ მედალოსნები იღებდნენ. მიზანიც მიღწეულია და გაირკვნენ ის ჩოგბურთელები, რომლებიც იანვრის ბოლოდან თურქეთში, უკრაინაში, უნგრეთში და ჩეხეთში ითამაშებენ.

- 12-წლიანები**
 ბიჭები
 1. ლუკა ჯანუაშვილი; 2. სეთ სადიკოვი; 3. დავით სოლომონია. გოგონები
 1. ნუცა ცინცაძე; 2. ანა-მარია ქურციკაშვილი; 3. ნატალია ჯაიანი.
14-წლიანები
 ბიჭები
 1. ცოტნე ძიმიტარაშვილი; 2. დავით ტოტიკაშვილი; 3. ნიკა ბიძინაშვილი. გოგონები
 1. თათა გაგოშიძე; 2. ნინო ნაცვლიშვილი; 3. დეა გორგიძე.
16-წლამდელები
 ბიჭები
 1. საბა ფურცელაძე; 2. ლაშა-გიორგი კიკვიძე; 3. დავით აჯივი. გოგონები
 1. ანა შანიძე; 2. ეკატერინე ჟორჟოლიანი; 3. დალიდა ქადარია.



სასკოლო აქტივობა

იცოცხლე, გოგლა, შენ ჩვენთან ხარ!

თბილისის №219 საჯარო სკოლაში (დირექტორი - შალვა ხუციშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ (კათედრის თავმჯდომარე - მარინე პეტრიაშვილი, წევრები: შორენა ძიძიკაშვილი, ნანა ქაცანაშვილი, ნინო ტაკაშვილი, სალომე ნიკოლიშვილი) ჩაატარა ღონისძიება „იცოცხლე, გოგლა, შენ ჩვენთან ხარ!“, რომელიც მიეძღვნა XX საუკუნის კლასიკოს პოეტსა და აკადემიკოსს, გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძეს. მონაწილეებმა შემოგვთავაზეს სოფელ პატარძელის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ან გარდაცვლილი მასწავლებლის, თამარ ხურთაშვილის მოგონებები პოეტის ცხოვრებაზე. ღონისძიება გაიხსნა პოეტის მიერ წარმოთქმული ლექსით „ყივჩალის პაემანი“. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების მხატვრულ ნაკითხვაში. დანტე ომანიძემ ფანდურზე შეასრულა გოგლას ლექსები: „არ დაიდარდო, დედაო“, „ღამე ივერიისა“. მოგონებებს შორის ცოცხლდებოდნენ „ნატურის ხის“ პერსონაჟები - ფუფალა, დიდდა ლელაური და მარიტა; ფუფალას როლი მარიამ აზრუმელაშვილმა განასახიერა, დიდე-



და ლელაური - მარიამ ვარდიშვილმა, მარიტა - მარიამ გავაშვილმა. ივრის ჭალეში გაზრდილი ბიჭი დღენიადაგ თავისი ხალხის კეთილდღეობასა და სამშობლოს უკეთეს მერმისზე ოცნებობდა. ამიტომ წერდა: „სულ ჩემი გულის მონანური, რაც დაეპნკალა ქალაქს ლექსები, ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია და მის სიყვარულს დავემწყემსები.“ პატარძელის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია ჩვენი სკოლის დანტე ომანიძე

კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა ქაცანაშვილი, თითოეულ ჩვენგანს გვჯეროდა, რომ პოეტის სული თავს დაგვტრიალებდა და ლოცავდა თავის შთამომავლობას, იყო ტკბილ-მწარე მოგონებები. სიტყვით გამოვიდა კათედრის თავმჯდომარე მარინე პეტრიაშვილი, აღნიშნა დიდი კლასიკოსი პოეტის დამსახურება და ღვაწლი ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე. მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისა და მოსწავლეთა დაფასებისთვის. მაყურებელთა თხოვნით, მარინე მასწავლებელმა წაიკითხა პოეტის ლექსი „წინწინდის ღამე“. ღონისძიების დასასრულს, სკოლის დირექტორმა შალვა ხუციშვილმა კათედრის წევრებს მადლობა გადაუხადა დიდებული ადამიანის გაცოცხლებისთვის და აღნიშნა, რომ გიორგი ლეონიძის სახელსა და შემოქმედებას არასოდეს დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

მეფა ტატიშვილი სსიპ ქალაქ თბილისის №219 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ყოველ ქართველში შენი გენია

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბესიკ ხულორდავას სახელობის სალხინოს საჯარო სკოლა გამორჩეულია სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობით, შეიძლება მას სათავეში უდგას სკოლის დირექტორი ნუნუ სილაგავა. სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივი ყველა ღონისძიებასთან ერთად თარიღს საინტერესო პროექტებით ეხმაურება. აღსანიშნავია პროექტი „ყოველ ქართველში შენი გენია“, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს მიეძღვნა. 2016 წელი იუნესკომ რუსთაველის წლად გამოაცხადა. სწორედ ამ დიდი წინაპრის უკვდავ სახელს მიეძღვნა პროექტი გათვალისწინებული აქტივობები. მისი მიზანი იყო შოთა რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ჩართვა დაგეგმილ აქტი-

ვობებში. პროექტში მებოძელი სკოლებიც ჩაერთვნენ. ყოველ აქტივობას თავისი კურატორ-პასუხისმგებელი ჰყავდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა, ხელნაწერი ჟურნალის გამოსაშვებად, სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა, დაიგეგმა კვირეული. კვირეულის პირველ დღეს ყველა კლასში მოეწყო ნახატებისა და აპლიკაციების გამოფენა. მოწონება დაიმსახურა მოსწავლე ნიკო ნაჭყებიას პერსონალურმა გამოფენამ. მეორეშემოქმედებამ ცოტნე ცაავამ მოაწყო ხელნაწერი ჟურნალის „ვეითხულობთ რუსთაველს“ პრეზენტაცია. ჟურნალი საინტერესოდ იყო შედგენილი. „სანუკვარი განძი“, „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები“, „პოემის გმირთა სამოქმედო არეალი“ - ეს განყოფილებები ბავშვებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მოუთხრობდნენ. ამავე დღეს ჩატარდა კონკურსი „სანუკ-



ვარი განძი“. აფორიზმების ცოდნა გამოამყვანეს I-VI კლასების მოსწავლეებმა, ღონისძიებას ხელმძღვანელობდა სალონი „სიყვარულის სამეფო“ და ბიბლიოთეკის საბჭო. კვირეულის მეორე დღეს ჩატარდა პოეზიის დღე „შენ დედაჩემის მზითვეო, ფარ-ხმალო დედაჩემისა“. ეპიზოდები პოემიდან და ლექსები პოეტზე წარმოადგინეს I-IX კლასელებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე კლასის მოსწავლე გიგლა მითაგვარია (ხელმძღვანელი - ნინო ბასილაია), რომელმაც „ვეფხისტყაოსნიდან“ 60-მდე სტროფი ზეპირად დაისწავლა. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა თვითმმართველობის საბჭო. მესამე დღე დაეთმო თეორიულ კონფერენციას „ქართული სულის უკიდევანო სამყარო“. მოხსენებები წაიკითხეს: ნანა კობერიძემ, მარიამ ბერუშვილმა, ხატია ნანავამ, ანანო ცაავამ. იმავე დღეს მეშვიდე კლასის (ხელმძღვანელი - ზინა ბასილაია) საკლასო კლუბმა „ფიქრის გორა“ ჩაატარა პოეზიის დღე „ჯერ კიდევ როდის მღეროდა შოთა“. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლექსები რუსთაველზე. კვირეულის მეოთხე დღე ისევ პოეზიას დაეთმო - „შოთას წიგნის პატრონო, საქართველოვ ბატონო!“. მხატვრულ კითხვაში თავი ისახელეს IX-XI კლასების მოსწავლეებმა. „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები ინგლისურ ენაზე ნანა კობერიძემ და მიკა ლაშვიამ წაიკითხეს, რუსულ ენაზე - ბექა ფულარიამ და ნანუკა ჩაგუნავამ, „საქართველოს საქებარი“ მეგრულ ენაზე - ანი ბასილაიმ და მარიამ ცაავამ. საინტერესო და მრავალფეროვანი იყო კვირეულის ბოლო დღეს ჩატარებული სახალხო ზეიმი. საბა ბასილაიმ მეტად შთამბეჭდავად წაიკითხა ეპიზოდები პოემიდან, ასევე პოემის ეპიზოდები წარმოადგინეს მეცხრეკლასელებმა (ხელმძღვანელი - რევაზ ცაავა), ხოლო ნინო ბერუშვილმა ნესტანის როლი შეასრულა. XI კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი

- ნონა ცაავა) აკაკის „სიზმრის“ სცენარი წარმოადგინეს, სიმღერა შეასრულა ქრისტინე თოდუამ. სცენარში მონაწილეობდნენ: თამთა ზოსიშვილი, რამაზ ბასილაია, თავა სურცილაძე, ნანუკა ჩაგუნავა. ღონისძიებაში ჩართული იყვნენ ლეცავეს საჯარო სკოლის (დირექტორი - გულნაზ ცაავა) მოსწავლეები - მეგი და ლედი სხულუნიები და ინჩხურის საჯარო სკოლის (დირექტორი - შორენა ახვლედიანი) მოსწავლეები - მარი ბედი და ელენე გაბეშია. ღონისძიებას ესწრებოდნენ გაჭვდილის სკოლის (დირექტორი - მანანა ლაშვილი) წარმომადგენლები. მეხუთეკლასელებმა რუსთაველის ბიუსტთან წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს“. სალხინოში, მთების კალთას შეფარებულ ლამაზი სოფლის ცენტრი, პოეზიის მოყვარულმა ადამიანებმა მგოსნის ბიუსტით დაამშვენეს, იმ მგოსნის, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უძველესმა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. ეს ძველი მადლიერი შთამომავლობის ხარკიცაა დედამინაზე ადამიანთა თანასწორობის დიდი მეხობისადმი. ზეიმის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა ინჩხურის საჯარო სკოლის დირექტორი შორენა ახვლედიანი, პოეტი ილია კუხალაშვილი. ქალბატონმა ნუნუ სილაგავამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ჩვენი დიდი წინაპარი შოთა რუსთაველი დღეს, როგორც ტიტანი, მიაბჯებს ჩვენი პლანეტის გზებზე და ყველგან მიაქვს ჰუმანიზმის, უჭკნობი სიყვარულის, უმაგალითო მეგობრობის უზენაესი გრძნობები, რომლებიც რვანახევარი საუკუნის წინ იქადაგა საქართველოში. ეს ღონისძიება ჩვენი მოკრძალებული წვლილია მსოფლიო ზეიმში რუსთაველის საიდუმლოდ.

სულიკო ბასილაია სალხინოს საჯარო სკოლის პედაგოგი

მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი პროტოკოლის განუყოფელი ნაწილია. რეჟიმის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს: 1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები; 2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს; 3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს. 4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



წიგნი თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დახმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. 6.50 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო




კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგებას ალტერნატიულ, ბაზორომოს, ალტერნატიული სასწავლო გაგებით განსაზღვრული საკმარისობის შესახებ სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დახმარებას კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში. 6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; აღსანიშნავია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა. 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარი ისა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩაინერგოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, ვედაგორიულ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავალი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეგისტრი და თანხმებული ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული. 5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების ვედაგორიებისთვის



ცნობარი დაწყებითი კლასების ვედაგორიებისთვის მოგზაურობის დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალებს; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მოგზაურობაში დახმარებას. 14 ლარი

მოთხეალოთ საბავშვო მათემატიკის

კრებულში შეყრილია მათემატიკის მეთოდები და მათემატიკის მეთოდების აღწერა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა. 6 ლარი



კართული ენის კრებულები. აკრებული სასწავლო მეთოდით მათემატიკის მეთოდების აღწერის თაობაზე. 17.70 ლარი. ნაშრომი და მათემატიკა. 30.40 ლარი.

12 ლარი. თამაზ ვასაძე. კომპიუტერული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი. 12 ლარი

10 ლარი. ფიზიკა. საბავშვო მათემატიკის მეთოდები. 10 ლარი

7 ლარი. ქართული ენის გრაფიკა. სინტაქსი. 7 ლარი

8 ლარი. ქართული ენის გრაფიკა. მორფოლოგია. 8 ლარი

10 ლარი. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი. 10 ლარი

4 ლარი. თამაზ ვასაძე. ქართული აბორიგინული პრეზენტაციული მათემატიკის მეთოდები. 4 ლარი

ბიოლოგია. ბიოლოგიის მეთოდები. 10 ლარი

9 ლარი. ისტორია. ისტორიის მეთოდები. 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22. ფიზიკურად პირებზე, თანხის გადმოირიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3. ტელ.: 032 295 80 23, 599 880073. www.axaligantleba.ge axaligantleba@gmail.com. რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86G000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22, რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X. 9 772233 386008 >